ხობის მოამბე

№8 (7099) 30 აპრილი,
სამშაბათი, 2013 წელი.
ფასი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი

5 მაისი, ერთად ვიზეიმოთ დღესასწაულთა დღესასწაული– ქრისტეს აღდგომა, ვიზეიმოთ ერთობითა და სიწმინდით.

გ ი დ ო ც ა ვ თ !

ბზობის დღესასწაული

ბზობის ბრწყინვალე დღესასწაულზე, ხობის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში, ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა მეუფე გრიგოლმა ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად საზეიმო წირვა-ლოცვა აღავლინა. ქადაგების შემდგომ მეუფე გრიგოლმა აკურთხა ბზა - „აღდგომისა მოსასწავებელად“.

დიდმარხვის მეექვსე კვირა დღეს მართლმადიდებელი ეკლესია მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლას ზეიმობს, რასაც ბაიაობას, ანუ ბზობას უწოდებენ. იგი ათორმეტთაგან რიგით პირველი მოძრავი დღესასწაულია, რომელიც ყოველთვის ბრწყინვალე აღდგომის წინა კვირა დღეს აღინიშნება.

წმინდა სახარების მიხედვით, მაცხოვრის შესვლა იერუსალიმს, ძლევამოსილი მეფის სატახტო ქალაქში შესვლას ჰგავდა და მას უბრალო ადამიანებმა საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს. იერუსალიმისკენ მიმავალ მაცხოვარს, გზაზე ხალხი სამოსელს უფენდა, ზოგი კი პალმის რტოებით ეგებებოდა. ყოველი მხრიდან ისმოდა ღაღადისი: „ოსანა ძესა დავითისასა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისა თა! ოსანა, რომელი ხარ მაღალთა შინა!“

იერუსალიმს დიდებით შესვლით უფალმა მორწმუნეებს სიყვარულის გამომჟღავნების საშუალება მისცა, ხოლო მოძულეებსა და მტრებს - მისი შეცნობისა და სინანულად მოქცევისა.

ბზობის დღესასწაულზე წირვას ესწრებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის ხელმძღვანელი პირები.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა ყველა ქრისტიანს ულოცავს ბზობის ბრწყინვალე დღესასწაულს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ხობში

17 აპრილს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით კირვალიძე და შპს „ მექანიზატორის“ დირექტორი ვაჟა ნახუცრიშვილი ხობის მუნიციპალიტეტს ესტუმრნენ. მინისტრი ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ქარდავასთან, გამგებელ კახაბერ ბენიძესა და გამგებლის მოადგილე როსტომ კილასონიასთან ერთად ნოჯიხევის თემში მოსახლეობას შეხვდა და მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე ხვნის პროცესს დაესწრო, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები დაათვალიერა და იქ არსებულ მდგომარეობას გაეცნო.

თემის მოსახლეობა დადებითად აფასებს საქართველოს მთავრობის საგაზაფხულო პროგრამას და კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მიწის დამუშავება თანამედროვე ტექნიკით სრულფასოვნად ხორციელდება.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა–საქართველოსთან“ შეხვედრა

12 აპრილს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის შეხვედრების დარბაზში, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ სამეგრელოზემო სვანეთის ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ვებ-გვერდის მონიტორინგის შედეგების პრეზენტაცია გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები. პრეზენტაციას უძღვებოდა „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ ციფრული ანალიტიკოსი დერეკ დოლერი, რომელმაც ისაუბრა დემოკრატიულ-საზოგადოებაში ელექტრონული მმართველობის მნიშვნელოვან პრინციპებზე.

საჯარო დაწესებულებათა საქმიანობის გამჭვირვალეობასა და ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობაში მოქალაქეთა თანამონაწილეობის მნიშვნელობაზე.

მონიტორინგის შედეგების მიხედვით ყველაზე გამჭვირვალე ადმინისტრაციულ ვებ-გვერდად დასახელდა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის, ხობის და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გვერდები.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

25 აპრილს, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ქარდავა უძღვებოდა.

სხდომას ესწრებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი **კახაბერ ბენიძე**, საკრებულოს წევრები, გამგეობის სამსახურებისა და საზოგადოების წარმომადგენლები.

სხდომაზე დღის წესრიგის მიხედვით განხილულიქნა 2 საკითხი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა მომხსენებელი საკრებულოს თავმჯდომარე **მამუკა ქარდავა**, თანამომხსენებელი საკრებულოს თავმჯდომარე **მამუკა ქარდავა**, თანამომხსენებელი–გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **დავით ჭოჭუა**.

2. „ხობის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 18 იანვრის N1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა მომხსენებელი საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი **მამუკა ქარდავა**, თანამომხსენებელი–საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **დავით ჭოჭუა**.

აღნიშნულ საკითხებზე მიღებულიქნა სათანადო გადაწყვეტილება.

საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

მუნიციპალიტეტის გამგებელი მოსახლეობას შეხვდა

16 აპრილს, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში, ქ.ხობის ცოტნე დადიანის ქუჩაზე განთავსებულ მრავალბინიან კორპუსებში მცხოვრებ მოსახლეობას შეხვდნენ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი კახაბერ ბენიძე, მოადგილეები ბადრი ჯობავა, მახარე ჩოკორაია და როსტომ კილასონია. შეხვედრაზე ისაუბრეს, როგორც კორპუსების მიმდებარე ტერიტორიაზე განსახორციელებელი, ასევე ქალაქის ტერიტორიაზე დაგეგმილი სხვა ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ. განიხილეს პრობლემატური საკითხები. დამსწრე საზოგადოებამ მათთვის საინტერესო კითხვებზე ამომწურავი პასუხები მიიღო. ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით.

გრანტების კონკურსი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, გამგებელი კახაბერ ბენიძე და გამგებლის მოადგილე ბადრი ჯობავა შეხვდნენ ლტოლვილთა დანიის საბჭოს დასავლეთ საქართველოს პროგრამების მენეჯერს ბლერიმ მუჰაჯერს, ლტოლვილთა დანიის საბჭოს ეკონომიკური პროგრამის ხელმძღვანელს მზევი ჯოჯუასა და ლტოლვილთა დანიის საბჭოს საველე ოფიცერს რამაზ ჩაკვეტაძეს. შეხვედრაზე ისაუბრეს ხობის მუნიციპალიტეტში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე და მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებასა და ხელშეწყობაზე.

ლტოლვილთა დანიის საბჭო (ლდს) ახორციელებს მცირე და საშუალო საწარმოების ხელშემწყობ საგრანტო პროგრამას ხობის მუნიციპალიტეტში. გრანტების კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და მომუშავე საწარმოებს წარმოების, გადამუშავების, მომსახურების და სოფლის მეურნეობის სექტორში.

გრანტის საშუალო თანხაა 3000 ევროს ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში. ბიზნესის მფლობელს მოეთხოვება, კონტრიბუციის სახით წარმოადგინოს პროექტის საერთო ბიუჯეტის სულ მცირე 33 %.

გრანტის მიმღებ საწარმოებს ასევე მოეთხოვებათ დასაქმონ სულ მცირე 1 დევნილი ან სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრი გრანტის ფარგლებში.

დაინტერესებულ პირებს პროექტის განაცხადის მიღება და ჩაბარება შეუძლიათ ხობის მუნიციპალიტეტში შემდეგ საკონტაქტო პირთან:

გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი ავთანდილ სართანია – საკონტაქტო ტელეფონი: 599 85 60 87.

სამელიორაციო სამუშაოები დაიწყო

ხობის მუნიციპალიტეტში სადრენაჟე და სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება დაიწყო, ამჯერად სამუშაოები ქვემო ქვალონის თემში მიმდინარეობს. სამუშაოებს ასრულებს შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის, დასავლეთ საქართველოს საექსპლუატაციო, სარეკონსტრუქციო - სარეაბილიტაციო სამუშაოების სამმართველო“ სახელმწიფო დაფინანსებით. ქვემო ქვალონში გაიწმინდება და გაითხრება პირველი და მეორე კოლექტორი (წყლის მთავარი ცენტრალური არხები, რომლის სიგრძე დაახლოებით 21 კმ) და კვალთაშორის („ორნატი“- სიგრძე 96 კმ) არხები.

15 აპრილს, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, გამგებელმა კახაბერ ბენიძემ და გამგებლის მოადგილე როსტომ კილასონიამ დაათვალიერეს მიმდინარე სამელიორაციო სამუშაოები, სადაც ადგილობრივი მოსახლეობაა დასაქმებული. 5 მაისამდე ელოდებიან ხობის მუნიციპალიტეტში ახალი ტექნიკის შემოყვანას სამელიორაციო სამუშაოების შესასრულებლად. შემდეგი სამუშაოები იგეგმება პირველი მაისის, შუა ქვალონის, ახალი სოფლის თემებსა და სოფელ საგვიჩიოში.

„ყველა პიროვნას შევქმნით იმისათვის, რომ საპრეზიდენტო არჩევნები თავისუფლ და სამართლიან გარემოში ჩატარდეს“

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ყველა პირობას შევქმნით იმისათვის, რომ 2013 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარდეს.

ამის შესახებ ივანიშვილმა სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის როუზ-როსის 83-ე სემინარზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

„ყველა პირობას შევქმნით იმისათვის, რომ 2013 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარდეს. ივნისში, როდესაც ჩრდილოატლანტიკური საბჭო საქართველოს ეწვევა, ვფიქრობ, ეს იქნება შესანიშნავი საშუალება იმისა, რომ საბჭო ადგილზე გაეცნოს ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებს. ჩვენ რეალისტები ვართ და კარგად გვესმის, რომ ნატო-ში ინტეგრაცია ეტაპობრივი პროცესია და საქართველო მზადაა, განაგრძოს ეს გზა. ამავე დროს, იმის მოლოდინიც გვაქვს, რომ ალიანსი სათანადოდ შეაფასებს საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესს, ასახავს ამას კონკრეტულ გადაწყვეტილებაში და ამით ნატო-ში ჩვენი ქვეყნის ინტეგრაციას წინ წასწევს. ამის იმედს გვაძლევს 2012 წლის 21 მაისს ნატო-ს ჩიკაგოს სამიტზე გამოთქმული სიტყვები: „ეს უნდა იყოს ბოლო სამიტი, რომელიც არ არის გაფართოების სამიტი“. 2012 წლის სექტემბერში თბილისში ვიზიტისას ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა თქვა, რომ საქართველოს მომავალი სახლი ნატო-შია. მე მჯერა, რომ სულ მალე დადგება ის დრო, როდესაც კონკრეტული ნაბიჯი გადაიდგმება საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების მიმართულებით, რომელიც ალიანსთან ინტეგრაციის გზაზე ყველა არსებულ ორაზროვნებას მოხსნის“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ქართულმა არმიამ 22 წლის იუბილე აღნიშნა

ქართულმა არმიამ 22 წლის იუბილე აღნიშნა.

შეიარაღებული ძალების დღესთან დაკავშირებით ყველა სამხედრო ბაზაზე საზეიმო მოწყობა გაიმართა. თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ პროფესიული დღესასწაული პირად შემადგენლობას თავდაცვის სამინისტროს სამწყობრო მოედანზე პირადად მიულოცა.

მინისტრის მილოცვა ქართველ სამხედროებს ყველა სამხედრო ნაწილში საზეიმო მოწყობაზე გააცნეს:

„გილოცავთ საქართველოს შეიარაღებული ძალების 22-ე წლისთავს. ამ წლების განმავლობაში არაერთხელ დაამტკიცეთ, რომ თქვენ საკუთარი სიცოცხლის ფასად ღირსეულად ემსახურებით საქართველოს. სამშობლო, ღირსება, ერთგულება - ეს ჩვენი შეიარაღებული ძალების დევიზია. ქართული არმიისთვის ეს მხოლოდ სიტყვები არ არის. თქვენ და თქვენმა თანამებრძოლებმა დაამტკიცეთ, რომ საქართველოს ღირსეული შვილები ხართ, რომლებიც აგრძელებთ ჩვენი წინაპრების გზას. არ არის ტყვია, რომელიც თქვენ შეგაჩერებთ, რადგან თქვენი ფესვები საქართველოშია, იმ ქვეყანაში, რომელსაც ბევრჯერ კლავდნენ და არ კვდებოდა. მე ამაყი ვარ, რომ მერგო პატივი, გემსახუროთ თქვენ, ვინც ჩვენს სამშობლოს იცავს. მიგულეთ თქვენს გვერდით რიგით ჯარისკაცად“.

საქართველოს შეიარაღებული ძალების ყველა სამხედრო ბაზაზე ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ სამხედროებს წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს.

თავდაცვის მინისტრმა, გაერთიანებული შტაბის უფროსმა პოლკოვნიკმა ირაკლი ძნელაძემ და მისმა მოადგილემ პოლკოვნიკმა ლაშა ბერიძემ საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმატებულ 36 ოფიცერს უწყებრივი ჯილდო გადასცეს.

პროფესიულ დღესასწაულზე შეიარაღებული ძალების მასშტაბით 152 სამხედრო მოსამსახურე დაჯილდოვდა.

„ირაკლი ღარიბაშვილი არასოდეს და ვერასოდეს იქნება ვანო მერაბიშვილი“

პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ჟურნალისტების თუ საზოგადოების მხრიდან პროკურატურის თუ პოლიციის მისამართით გადაჭარბებული კრიტიკა გამოითქმის.

ამის შესახებ ივანიშვილმა სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ სამოქალაქო საზოგადოების – „საქართველოს ეროვნული პლატფორმის“ და მედიის წარმომადგენლების ინიციატივით ჩატარებული კონფერენციის – „სამოქალაქო კონტროლი უკანონო მოსმენების აღსაკვეთად“ მიმდინარეობისას განაცხადა.

მისი თქმით, ჟურნალისტების თუ საზოგადოების მხრიდან პროკურატურის თუ პოლიციის მისამართით გადაჭარბებული კრიტიკა გამოითქმის.

„მე მახსოვს, შს მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ადარებდნენ ვანო მერაბიშვილს, რაზეც მე ძალიან მტკიოდა გული. ჩვენ უნდა მოვახერხოთ სწორი აქცენტები გავაკეთოთ: არ გადავაჭარბოთ კრიტიკასაც. მასაც ზომიერება სჭირდება, რომ ხელისუფლებასაც გამოსწორების დრო დავუტოვოთ, ჩვენც ვსწავლობთ, გვყავს გულწრფელი მთავრობა. მე მინდა, კიდევ ერთხელ აღვნიშნო, რომ ღარიბაშვილი არასოდეს და ვერასოდეს იქნება ვანო მერაბიშვილი“, - განაცხადა პრემიერმა.

„რუსეთის განაწყენების გარეშე საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების მაგიური რეცეპტი ის არის, რომ საქართველო საინტერესო ქვეყანა გახდეს“

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, „რუსეთის განაწყენების გარეშე საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების მაგიური რეცეპტი ის არის, რომ საქართველო საინტერესო ქვეყანა გახდეს“.

ამის შესახებ ივანიშვილმა სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის როუზ-როსის 83-ე სემინარზე საფრანგეთის წარმომადგენლის კითხვის - „აქვს თუ არა პრემიერ-მინისტრს მაგიური, რეცეპტი, რითაც რუსეთს საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებით არ გაანაწყენებს?“–კომენტირებისას განაცხადა.

„ჩვენ გვაქვს მაგიური რეცეპტი. ჩვენი გუნდის გადმოსახედიდან რუსეთთან საბოლოო ურთიერთობის დამყარება სწრაფი ვერ იქნება. პირველი ეტაპი უკვე გავიარეთ და ეს არის კულტურული ურთიერთობების დამყარება. ჩვენ არ გვაქვს იმის ილუზია, რომ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა სწრაფად აღდგება, თუმცა გარწმუნებთ, რომ ამას რამდენიმე ათეული წელი ნამდვილად არ დასჭირდება. ძირითადი რეცეპტი ის არის, რომ ჩვენი ქვეყანა უნდა გახდეს საინტერესო, საქართველოს მოსახლეობა უნდა ახერხებდეს დასაქმებას, დევნილები უნდა დავუბრუნოთ საკუთარ სახლებს, მხოლოდ რუსეთის გადასაწყვეტი არ არის ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის საკითხი და მე ვფიქრობ, ამ ყველაფრის მოგვარებას რამდენიმე წელში მოვახერხებთ“, - განაცხადა ივანიშვილმა.

სოზარ სუბარმა და გიორგი მარგველაშვილმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი

მსჯავრდებულთა ზოგადი განათლებისა და პროფესიული მომზადების პროგრამების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

დოკუმენტს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა სოზარ სუბარმა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა მოაწერეს ხელი.

მემორანდუმი მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციისთვის აუცილებელი ერთობლივი პროგრამების განხორციელებას ითვალისწინებს.

დოკუმენტის მიზანი მსჯავრდებულთა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიზნით მსჯავრდებულთათვის ზოგადი განათლებისა და პროფესიული მომზადების პროგრამების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაა.

„პირველ რიგში, კენჭისყრაზე საერთო სასამართლოების შესახებ კანონპროექტის პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებული ვერსია დადგება“

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადებით, პირველ რიგში, კენჭისყრაზე საერთო სასამართლოების შესახებ კანონპროექტის პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებული ვერსია დადგება.

ამის შესახებ უსუფაშვილმა ჟურნალისტებს პრეზიდენტის მიერ ვეტოდადებული კანონპროექტების კომენტირებისას განუცხადა და ვეტოს დაძლევის პროცედურა დეტალურად განმარტა.

„კანონმდებლობა და პროცედურები გვავალდებულებს, კენჭისყრაზე პირველ რიგში, დავაყენოთ პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებული ვერსია – პარლამენტი ეთანხმება თუ არა მის ცვლილებებს. თუ დაეთანხმა, მაშინ კანონი მიღებულად ჩაითვლება იმ სახით, როგორც პრეზიდენტმა ჩაასწორა. თუ არ დაეთანხმა პარლამენტი, ამის შემდეგ დგება ვეტოს დაძლევის საკითხი და კენჭისყრა. ასეთ შემთხვევაში, პარლამენტს ჭირდება, დღევანდელი მდგომარეობით 89 ხმა. ზოგადად, ესაა 90 ხმა, მაგრამ ვინაიდან პარლამენტის სამი წევრი გვაკლია და 150 არ არის, აქედან გამომდინარე, 35 აითვლება 147-დან. პარლამენტის 89 წევრმა თუ მხარი დაუჭირა ვეტოს დაძლევას, ამით ამ კანონზე პარლამენტის მუშაობა მთავრდება, კანონი გადაეგზავნება ისევ პრეზიდენტს ხელმოსაწერად, თუ მან კვლავ არ ინება ხელმოწერა, მაშინ პარლამენტის თავმჯდომარე აწერს ხელს, აქვეყნებს მას და შედის ძალაში“, - განმარტა უსუფაშვილმა.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

19 აპრილს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ქარდავა უძღვებოდა.

სხდომას ესწრებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი კახაბერ ბენიძე, საკრებულოს და გამგეობის წარმომადგენლები.

სხდომაზე განხილულ იქნა 7 საკითხი :

1.„ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის N27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: მ. ქარდავა-საკრებულოს თავმჯდომარე)

თანამომხსენებელი: მ. ჩოკორაია - გამგებლის მოადგილის მ/შ)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის 2013წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 18 იანვრის N1 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: მ. ქარდავა-საკრებულოს თავმჯდომარე;

თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

3.„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების თაობაზე საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 7 მარტის N12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ბ. ჯობავა - გამგებლის მოადგილის მ/შ)

4.„ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) და დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ა. სართანია - გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსის მ/შ)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ საგვიჩიოს ტერიტორიაზე არსებული ქუჩების სახელდების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ა. სართანია - გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი მ/შ).

6. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წითელას მასიური გავრცელების პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: შ. კანკია - გამგეობის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის უფროსი).

7. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საშტატო ნუსხისა და სახელფასო სარგოს შეთანხმების თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 მარტის N20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: ბ. ჯიქია - საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე)

საკითხების განხილვის შემდეგ სხდომა დასრულებულად გამოცხადდა.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაცია

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება N19

2013 წლის 19 აპრილი ქ. ხობი

ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წითელას მასიური გავრცელების პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მეორე პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტისა და „საქართველოში წითელას მასიური გავრცელების პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის N273 განკარგულების შესაბამისად:

1.ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, წითელას მასიური გავრცელების პრევენციის მიზნით, განხორციელდეს არაგეგმიური იმუნოპროფილაქტიკისთვის (2013 წლის 31 მაისის ჩათვლით) შემდეგი ღონისძიებები:

ა) არასრულად იმუნიზირებულ 7 წლამდე ასაკის ბავშვთა წითელა-წითურა-ყბაყურას (შემდგომში - „წწყ“) ვაქცინის 1 დოზით ვაქცინაცია;

ბ) სამედიცინო პერსონალის წწყ ვაქცინის 1 დოზით ვაქცინაცია;

გ) წითელას სავარაუდო შემთხვევის გამოვლენისას, კონტაქტების ვაქცინაცია (საცხოვრებელი და სასწავლო/სამუშაო დაწესებულების კონტაქტები), მიუხედავად აცრის სტატუსისა;

დ) ჩატარებული აცრების დარეგისტრირება და ვაქცინირებული პირებისთვის აცრის ჩატარების დამადასტურებელი ცნობის გაცემა;

ე) არაგეგმიური იმუნოპროფილაქტიკის განხორციელების მიზნით მომსახურების (აცრა, ვიზიტი და ექიმის კონსულტაცია) დაფინანსება განხორციელდეს არამატერიალიზებული სამედიცინო ვაუჩერის მეშვეობით და მისი ღირებულება განისაზღვროს 1 (ერთი) ლარის ოდენობით;

2. დაევალოს ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს“ (შ. საბახტარაშვილი):

ა) ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აწარმოოს ადამიანთა ჯანმრთელობის მონიტორინგი;

ბ) ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წითელას კერების (ოჯახური, სასწავლებელი/სამუშაო და სხვა) შესწავლისა და კონტაქტირებულთა აღრიცხვის უზრუნველყოფა;

გ) ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამედიცინო პერსონალის, 7 წლამდე არასრულად იმუნიზირებული ბავშვთა და დაავადებულ პირებთან კონტაქტირებულების ვაქცინაციისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა;

დ) მომსახურების ზედამხედველობის განხორციელება და ეპიდზედამხედველობის გაძლიერება გამონაყარითა და ცხელებით მიმდინარე დაავადებებზე;

ე) გატარებული ღონისძიებების შესახებ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის პერიოდულად ინფორმაციის წარდგენა;

3. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას (კ. ბენიძე):

ა) განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ღონისძიებებზე კონტროლის განხორციელება;

ბ) ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ სპეციალისტთა მიერ წითელას კერების შესწავლისა და კონტაქტირებულთა აღრიცხვის უზრუნველსაყოფად მხარდაჭერა და საჭიროების შემთხვევაში მატერიალურ-ტექნიკური დახმარების გაწევა;

გ) გატარებული ღონისძიებების შესახებ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის პერიოდულად ინფორმაციის წარდგენა;

დ) საჭიროების შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებებისთვის აუცილებელი თანხების მოძიება ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში.

4. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე და გამოქვეყნდეს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში და ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ოფიციალურ ვებგვერდებზე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი დავით აღმაშენებლის ქ. N3).

მამუკა ქარდავა,
საკრებულოს თავმჯდომარე.

თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპები

მიმდინარე წლის 16 აპრილს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაიმართა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი მამუკა ქარდავა, საკრებულოს ბიუროს წევრები, დეპუტატები, საზოგადოების წარმომადგენლები.

შეკრებილ საზოგადოებასთან შეხვედრის მიზანი იყო ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის (პრეზიდენტი მამუკა აბულაძე და ლობისტი რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარე–კახა გურგენიძე) მიერ. საქართველოს მთავრობის განკარგულების №223, 2013 წლის 1 მარტი) გაცნობა, რომელიც შეეხებოდა საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის ძირითად პრინციპებს 2013–2014 წლებისათვის.

აღნიშნულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ საქართველოში დღეისათვის მოქმედი, მაქსიმალურად ცენტრალიზებული მმართველობის სისტემა ვერ უზრუნველყოფს ვერც საზოგადოებრივი მომსახურების ადეკვატურ მიწოდებას მოსახლეობისათვის და ვერც გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობას. სიტუაცია კიდევ უფრო მძიმდება კრიზისულ პერიოდში, როცა გაუმართავი და არაეფექტური სისტემა, არსებული გამოწვევების გადაჭრის პროცესის დარეგულირების ნაცვლად, დამატებით პრობლემებს წარმოქმნის.

ახალი რეფორმის ამოსავალი პრინციპი იქნება მოქალაქეების მაქსიმალური გააქტიურება და უშუალო ჩართულობა მართვის პროცესში. იგი საქართველოს მთავრობას დეცენტრალიზაციის პროცესს განიხილავს ქვეყანაში დემოკრატიისა და მისი შესაბამისი ინსტიტუტების დამკვიდრების საკვანძო ასპექტად.

ძირითადი, რაც ამ დადგენილებაშია წარმოდგენილი, ისაა, რომ დაგეგმილი რეფორმების შედეგად თითოეულ დასახლებაში შეიქმნება საზოგადოებრივი თვითმმართველობა, როგორც მოქალაქეთა მართვაში უშუალო მონაწილეობის დემოკრატიული ინსტიტუტი. მოხდება სრულყოფილი მუნიციპალური თვითმმართველობის ტერიტორიული ოპტიმიზაცია. თვითმმართველი ერთეულების რაოდენობის გაზრდა და გაძლიერება ფუნქციური და მატერიალური თვალსაზრისით. სამხარეო მმართველობის დონეზე დაინერგება სამხარეო თვითმმართველობის ძირითადი კომპონენტები.

2014 წლის ადგილობრივი არჩევნების შემდგომ ეტაპზე განხორციელდება ახლადჩამოყალიბებული სისტემის შემდგომი სრულყოფა ინსტიტუციური, საფინანსო-ეკონომიკური მართვის ეფექტიანობისა და დემოკრატიულობის კუთხით.

სტუმრებმა ისაუბრეს რეფორმირების უმთავრეს მიმართულებებზე, როგორიცაა:

–საზოგადოებრივი თვითმმართველობის ფორმირება თითოეულ დასახლებაში;

–მუნიციპალური თვითმმართველობის ტერიტორიული ოპტიმიზაცია და გაძლიერება;

–სამხარეო ხელისუფლებაში თვითმმართველობის ელემენტების დამკვირდება;

–სახელმწიფო ზედამხედველობის ეფექტური მექანიზმების შექმნა.

ასევე აღნიშნეს, რომ 2013 წელს მიღებულიქნება კანონი, რომელიც უზრუნველყოფს სოფლის შენარჩუნება–განვითარების, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისა და საზოგადოების მართვაში ჩართულობას. ამ კანონით და სხვა საკანონმდებლო ცვლილებებით განისაზღვრება სასოფლო დასახლება, როგორც იურიდიული პირი.

2013 წელსვე შეიქმნება საკანონმდებლო ბაზა, რომლის შესაბამისადაც დასახლებები ან დასახლებათა ერთობლიობები ჩამოყალიბდება როგორც თვითმმართველი ერთეულები–თვითმმართველი ქალაქები და თვითმმართველი თემები.

ამ მიზნით, 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებამდე კანონით დადგინდება მუნიციპალური თვითმმართველობის ტერიტორიული ორგანიზების დემოგრაფიული, გეოგრაფიული, ინფრასტრუქტურული, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ჩარჩო-კრიტერიუმები და პრინციპები საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი ჩარჩო-კრიტერიუმების და პრინციპების საფუძველზე.

შეიქმნება საკანონმდებლო ბაზა, რომლის შესაბამისადაც: თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო–არჩეულიქნება პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრით, 2 წლის ვადით. თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელ ორგანოთა ხელმძღვანელები (გამგებელი სოფელში, თემში და მერი ქალაქში) არჩეულიქნებიან პირდაპირი წესით.

რეფორმების მოსალოდნელი შედეგი იქნება–გაიზრდება მოქალაქეების ჩართულობის დონე ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის პროცესში.

გაუმჯობესდება საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდების ხარისხი. ის დამოკიდებული აღარ იქნება ცენტრში მიღებულ უნიფიცირებულ გადაწყვეტილებებზე და გათვალისწინებული იქნება ცალკეული თვითმმართველი ერთეულის ადგილობრივი სპეციფიკა;

–საქართველოში ჩამოყალიბდება ორდონიანი თვითმმართველობა, რაც შესაბამისობაში იქნება ევროპის ანალოგიური სიდიდის ქვეყნების მოწყობასთან.

–ადგილებზე შეიქმნება ინიციატივიან პირთა გამოვლენისა და კარიერული ზრდის შესაძლებლობა, რაც მნიშვნელოვანწილად ხელს შეუწყობს ქვეყანაში (საჯარო სამსახური, პოლიტიკური პარტიები და სხვა) კვალიფიციური კადრების დეფიციტის დაძლევის პროცესს.

თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპების გაცნობამ დამსწრეთა მხრიდან აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, რომელიც დებატებში გამოიხატა.

შეხვედრის დასასრულს მიღებულიქნა შეთანხმება, რომლის თანახმადაც კანონპროექტის ძირეულად გაცნობის, დამუშავების, შემდეგ მოხდება მის შესახებ დადგენილების მიღება.

მანანა ჟულაია.

ახალი კაცები

ჩვენი გაზეთის ამ ნომრის სტუმარია პირველი მაისის თემის რწმუნებული მარინე ლაგვილავა.

„ხელისუფლების თანადგომით ხვალინდელი დღე უფრო ლამაზი იქნება“

ქალბატონო მარინე, თქვენ შრომითი საქმიანობა პედაგოგობით დაიწყეთ... დღეს კი სულ სხვა ამპლუაში მოევლინეთ საზოგადოებას. ხართ ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის თემის რწმუნებული. არჩევნების შემდეგ თქვენ ჯერ ხობის მუნიციპალიტეტის საორგანიზაციო საკითხთა განყოფილებაში უფროსად დაინიშნეთ. რატომ შეიცვალეთ აზრი, ეს იყო თქვენი მოწოდება, როგორც ხელისუფლების დიდი მხარდამჭერისა და აქტივისტის, თუ ეს სოფლის სიყვარულის თანმდევი გადაწყვეტილებაა?

–დიახ, შრომითი საქმიანობა სოფელ თორსის სკოლიდან დავიწყე. ვიყავი ფიზიკა–მათემატიკის მასწავლებელი. შემდეგ ჩემი სოფლის სკოლაში გავაგრძელე პედაგოგობა. ბოლოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხობის ფილიალში მეთოდისტად მომიწია მუშაობამ. დღემდე მაქვს მასწავლებლობისადმი ნოსტალგია. შემდეგ იყო უმუშევრობის წლები. ამ რამოდენიმე თვის წინათ, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსად დავინიშნე, მაგრამ საქმემ მოიტანა და... ჩემს ხალხთან ერთად შევეჭიდე ამ დიდ და საპასუხისმგებლო საქმეს. იმედია, მე და ჩემი თანასოფლელები ერთგულებითა და სიყვარულით ყველა საქმეს დადებითად გადავწყვეტთ და პრობლემებიც მოგვარდება.

თქვენი ეს ნაბიჯი როგორ მიიღო თემმა, თქვენმა აქტივისტებმა, ალბათ ყველა კმაყოფილებას გამოხატავს. მით უფრო, როცა ქალი თემის ხელმძღვანელად არასოდეს ჰყოლია პირველ მაისს. იმედია, თქვენს ამ ნაბიჯს არ ნანობთ?

–პირველი მაისი ყოველთვის ცნობილი იყო ძლიერი სოფლის სახელით. აქ განათლებული, მშრომელი ხალხი ცხოვრობს. ქალი რწმუნებული არასდროს ჰყოლია თემს. დღეს მე ვარ ჩემს სოფელში და ეს ნაბიჯი ერთი წუთითაც არ მინანია. ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობ ხალხის მხარდაჭერას, თანადგომას. ჩვენ ერთად ბევრ კეთილ საქმეს გავაკეთებთ.

სოფლის მეურნეობის აღორძინება ამჟამად პრიორიტეტულია საქართველოში. ეს ახალი ხელისუფლების ძალზე აუცილებელი და სასურველი გადაწყვეტილებაა. რა მდგომარეობაა ამჟამად თემში. როგორ მიმდინარეობს ხვნის სამუშაოები, არიან გამონაკლისებიც, რომელთაც ბარათები არ მიულიათ. მათ რა ბედი ეწვევათ, გვიამბეთ ამის თაობაზე?

–მთელი საქართველოს მასშტაბით მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის აღორძინების პროექტის განხორციელების პროცესი. ჩვენთან დარიგდა სასოფლო-სამეურნეო ბარათები. ველოდებით დამატებით ბარათებს. სახნავ ფართობებში მუშაობს 14 ტრაქტორი. მოხნულია არსებული ფართობების თითქმის 80 პროცენტი. მთელი თემი ფეხზე დგას, რათა ეს პროექტი ბოლომდე შეუფერხებლად განხორციელდეს. მენეჯერებისგან ვგრძნობთ ძლიერ მხარდაჭერასა და თანადგომას.

თემი დიდია, დაქსაქსული, პრობლემებიც სათანადოდ ბევრი იქნება. რა არის ის, რაც მიმდინარე წელს უნდა გაკეთდეს. როგორც ვიცით, ხალხთან ერთად უკვე დაიგეგმა გასაკეთებელი საკითხები, რას გვეტყვით ამის შესახებ?

–პირველი მაისის თემი დიდია და რელიეფურად მთა-გორიანი, ულამაზესი ადგილებით. სანამ რწმუნებულად არ მოვევლინე აქაურობას და ყველა კუთხე-კუნჭული არ მოვიარე, თურმე ჩემი თემი არ მცოდნია. მისი სილამაზე მომხიბვლელია. სამი უბანი გვაქვს–ბულიწყუ, საკვიკვინიო და ჭიხუ. პრობლემებიც ბევრია. რა თქმა უნდა, ყველა პრობლემა ერთად არ გადაწყდება. ვეცდები, ხობის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების თანადგომით, ეტაპობრივად მისი გადაწყვეტის გზები ვიპოვნო.

სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტად სოფლის საპრივატიზაციო ფართობების შემოკავება ჩავთვალეთ. ასევე საკრებულოს ეზოს გალამაზება, რათა ნებისმიერ პირველმაისელს უხაროდეს მისი სოფლის აღორძინება. ჩვენთან მუშაობს კომპიუტერული გადამზადების ცენტრი, სადაც ახალგაზრდები სწავლობენ კომპიუტერულ პროგრამებს. ვცდილობ, ინტერნეტის დაყენებას. ვფიქრობ, ამით ნებისმიერი ასაკის ადამიანისთვის თემში ცხოვრება ხალისიანი და სასურველი გახდეს.

თემში ყველა გიცნობთ, ხობის მუნიციპალიტეტშიც თითქმის იციან თქვენი აქტიური და მებრძოლი ხასიათი. მაგრამ სასურველია სხვებმაც გაგიცნონ, როგორც თემის რწმუნებული, გვიამბეთ ვინ არის მარინე ლაგვილავა?

–მიუხედავად ჩემი ასაკისა, ძალიან აქტიური ვარ. მაქვს მებრძოლი სული. უკან დახევა არ მჩვევია. მიყვარს შრომა და ნებისმიერი საქმის ბოლომდე მიყვანა. მყავს დიდი სამეგობრო, ესაა ჩემი სიმდიდრე. მე მჭირდება მათი თანადგომა და პირიქით...

მარინე ლაგვილავა არის ერთი ჩვეულებრივი ქალი, რომელსაც განგებამ ბევრი გამოცდა მოუწყო და თუ დღეს მე რამეს წარმოვადგენ, ეს ჩემი ოჯახის დამსახურებაა.

ძალიან ტკივილიანი წარსული გაქვთ. გულით უმძიმეს დარდს დაატარებთ. ალბათ თქვენთვის სამსახური ერთგვარი შვებაა და მაინც, რა არის თქვენთვის სამსახური?

–უმძიმესი ტრაგედია გამოვიარე. 14 წელი მაშორებს ჩემი ვაჟკაცისგან. ჩემი ტრაგედია ჩემია, ჩემი ლევიკო ჩემია, ჩემი ლამაზი საფლავიც ჩემია, ეს დიდი დარდიც ჩემია და სანამ ცოცხალი ვიქნები, მუდმივად ჩემს გვერდით იქნება. მაშინაც, როცა ძალიან მიჭირდა, ჩემი სოფელი და ჩემი სამეგობრო ჩემს გვერდით იყო და დღემდე ასე გრძელდება. ასე ვიტყოდი, ჩემთვის ჩემი სამსახური მართლაც ერთგვარი შვებაა, დარდის წუთიერი გაფერმკრთალება. სამსახური, რაც არ უნდა დამღლელი იყოს, ჩემი სულის ერთგვარი განტვირთვაა (ალბათ გამიგებთ!).

პირველი მაისი ქალაქის ცენტრთან ყველაზე ახლო სოფელია, მაგრამ სოფელს დღემდე აწუხებს წყლის პრობლემა, არა აქვს ონკანის მაგისტრალური წყალი. აქ მოსახლეობა ჭის წყლით სარგებლობს. ორი ათეული წლის წინ იყო მცდელობა, მილებიც ჩაიდო, მაგრამ მიზეზთა სხვათა გამო (სამოქალაქო ომი დაიწყო) ყველაფერი ჩაიშალა.

ქალბატონო მარინე, სამომავლოდ ამ სიკეთით სოფლის უზრუნველყოფა ხომ არ იგეგმება?

–ვცდილობ და მინდა, ჩემი თემის ყველა პრობლემა, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, მოგვარებადი იყოს. არსებობს პროექტი, თემის ცენტრალური სასმელი წყლით მომარაგების შესახებ. ვცდილობთ და ვნახოთ რა გამოვა. იმედი მაქვს, ახალი მთავრობის დახმარებით პრობლემები გადაწყდება.

როგორც პირველი მაისის თემის რწმუნებული და მებრძოლი ადამიანი, ხალხთან ერთად შესძლებთ, რომ მოსახლეობა ბუნებრივი გაზით დაკმაყოფილდეს?

–სოფელში გადის ცენტრალური მაგისტრალი. თანაც აგერ ორ კილომეტრამდე მოყვანილია, რა თქმა უნდა, ვეცდები, ყველა ინსტანცია შევაწუხო და დადებით შედეგებს მივაღწიო. მონდომებას არ მოვაკლებ და ვნახოთ, რა იქნება.

პირველ მაისში საბავშვო ბაღი არსებობს, ამჯერად თემში ბავშვების რაოდენობა საკმაოდ გაიზარდა, პატარების სიმრავლეა. ამიტომ ბაღი ითხოვს ჯგუფების დამატებას. იყო დაპირებები. გადაწყდება თუ არა ეს საკითხი დადებითად და თქვენ, როგორც ხელმძღვანელი, რა ინფორმაციას ფლობთ?

–თემში არსებობს ბაგა-ბაღი, რომელიც 1985 წელს არის აშენებული. აშენების შემდეგ შენობას რემონტი არ ჩატარებია. ამჯერად ბაღს ერთი ჯგუფი დაემატა. შენობა აუცილებლად მოითხოვს შეკეთებას. ნორმალური ფუნქციონირების მიუხედავად, რთული სამუშაო პირობებია, მომსახურე პერსონალი ყველაფერს აკეთებს სამუშაო პროცესების ნორმალურად ჩატარებისათვის.

ახლა ბაღს ახალი მთავარი სპეციალისტი ყავს. იმედია, მუნიციპალიტეტის გვერდში დგომით ყველაფერი ნორმალურად განვითარდება. მეც, რა თქმა უნდა, ყველაფერში გვერდით დავუდგები, რათა ნორმალური პირობები შეიქმნას.

რას გვეტყოდით თემის მომავალზე, გრძელვადიან გეგმებზე. ხომ არ შეიცვლება პირველი მაისის იერ-სახე, რაიმე სიახლე ხომ არ იგეგმება?

–სურვილი მაქვს და მინდა, ჩემი თემი იყოს ძალიან ლამაზი. პირველი მაისის ცენტრში ახალგაზრდებისთვის ყველანაირი პირობები შეიქმნას, რათა მათი ცხოვრება მიმზიდველი გახდეს, ცხოვრების საუკეთესო პირობები ჰქონდეთ. სურვილი მაქვს, მომავალი თაობა იყოს განათლებული, კულტურული და ამისათვის მათ ყოველნაირად დავეხმარები. მჯერა, ხელისუფლების თანადგომით ხვალინდელი დღე უფრო ლამაზი იქნება.

იყავით წარმატებული!

–გმადლობთ. მე წარმატებულ ადამიანად მაშინ ჩავთვლი თავს, როცა ჩემი თემი შვებით ამოისუნთქავს და ხალხს გაღიმებულს ვნახავ. ესაა ჩემი სურვილი და ვიბრძოლებ მისი ხვალინდელი დღისთვის.

ესაუბრა ნანი კილასონია.

„სურვილი მაქვს, თემს გულწრფელად და პაჭიოსნად ვემსახურო“

ახალი ხიბულა ძველთაგანვე ცნობილი, გამორჩეული შრომის გმირებისა და ორდენოსანი ადამიანების საცხოვრისი იყო. კოლმეურნეობა თუ მეურნეობა ძლიერი და სახელოვანი, სოფლის ხელმძღვანელებიც გამორჩეული ადამიანები გახლდათ.

ჩვენმა ქვეყანამ ორი ათეული წლის წინათ მრავალი ჭკვიანი დღე განვლო. სამოქალაქო ომი... მოიშალა სოფლის მეურნეობა და ქვეყანა და მით უფრო სოფელი, სხვა დინებას მიჰყვა. უმუშევრობამ გაუსაძლისი ყოფა არგუნა გლეხკაცს. თითქმის ყველაფერი ჩაკვდა, მხოლოდ სოფლის საჯარო სკოლა ფუნქციონირებდა. შემდეგ... თითქოს რაღაცეები დალაგდა, მაგრამ ცხოვრების დონემ მაინც ვერ აინია. ეს ყველაფერი უმუშევრობას და სოფლის მეურნეობის მოშლას მოჰყვა. სოფელი მაშინაა ძლიერი, თუ თავად ადამიანები კარგად ცხოვრობენ და აქვთ შრომის სარბიელი...

ამჯერად მოვიდა ახალი ხელისუფლება, რომელიც ბევრ რამეს პირდება ხალხს, მოსახლეობა იმედით უყურებს მათ. უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები, რასაც სოფლის მეურნეობის აღირძინება მოყვა. ეს ხალხს, მშრომელ ადამიანს ამოსუნთქვის საშუალებას მისცემს. პირველი ნაბიჯები გადაიდგა ახალი ხიბულის თემშიც. დარიგდა სასოფლო-სამეურნეო ბარათები, რითაც გლეხკაცმა უკვე დაიწყო ხვნა-თესვის კამპანია, მას უკვე გააჩნია სასუქის საყიდელი ვაუჩერი და შემდეგ საკმარისი სასუქიც ექნება...

* * *

თუ რა მდგომარეობაა დღეს ახალი ხიბულის თემში, გვესაუბრება ხობის მუნიციპალიტეტის რწმუნებული ახალი ხიბულის თემში *რინელ ადამია*.

ბატონო რინელ, თქვენ კარგი მემკვიდრეობა გერგოთ. ახალი ხიბულა ყოველთვის გამორჩეული სოფელი იყო და ხელმძღვანელებიც გამორჩეულები ყავდა. თუმცა წლებია, ცხოვრების დონეს ძალზე დაეტყო უმუშევრობა, დღეს თემს ბევრი პრობლემა აქვს...

ამჟამად ახალი ხელისუფლება მოვიდა და მას თემის ხელმძღვანელად თქვენი დანიშვნა მოყვა. როგორ ფიქრობთ, თავს გაართმევთ იმ მისიის შესრულებას, რაც დაგეკისრათ (მხედველობაში მაქვს ის, რომ თქვენ ამ კუთხით მუშაობის გამოცდილება არ გაქვთ). იმედია, სოფელი და თქვენ კარგი ტანდემი იქნებით?

–უპირველესად მინდა თქვენი გაზეთის მკითხველს მივესალმო. კარგ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით ვერ დაგეთანხმებით. თემში უამრავი მოუგვარებელი და გადაუჭრელი პრობლემა დამხვდა, რაც შეეხება ახალ ხიბულას, მართლაც გამორჩეული და ძლიერი სოფელი გახლდათ. მიუხედავად ჩემი ასაკისა, კარგად მახსოვს თუ როგორ დუღდა აქ ცხოვრება. თუმცა ტყუილზე, ძალადობაზე და პროპაგანდაზე დაფუძნებული საბჭოთა კავშირი დაიშალა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პრაქტიკულად თავიდან გვიწევს სოფლის წელში გამართვა და ფეხზე დაყენება.

რაც შეეხება ახალ ხელისუფლებას, სერიოზული ნაბიჯები იდგმება თემის აღორძინების თვალსაზრისით. ვფიქრობ, ამ პროცესში ჩემზე დაკისრებულ მოვალეობას ხალხთან ერთად წარმატებით გავართმევ თავს. მე და ჩემი ხალხი მართლაც კარგი ტანდემი ვიქნებით.

ახალი ხიბულა თქვენთვის ნაცნობია, იქ ცხოვრება თქვენი ყოველდღიურობის მეგზური. მისიის შესრულებას უკვე მეხუთე თვეა შეუდექით. რა იყო ის პირველი, რითაც დაიწყეთ ხელმძღვანელის მოვალეობის შესრულება?

–რაც შეეხება თემს, აქ დავიბადე და გავიზარდე. ხალხს ვიცნობ და მის პირობებსაც. პირველი, რითაც დავინტერესდი, ის გახლდათ, თუ რამდენი ოჯახი იყო

7

თქვენთვის, ბავშვებო!

„წელან მიიწევს ადამიანი ბავშვობიდან მომავლისაკენ, იყოს კეთილი შენი შარა-გზა, ჯეჯილო, ნორჩო, იქცე უანადა...“

რედაქციაში მოსვლის დღიდან ერთი სურვილი მამოძრავებდა–მსურდა ჩვენი მომავალი თაობისათვის გაზეთის თუნდაც ორი გვერდი დამეთმო, ჩვენი მუნიციპალიტეტის ბავშვები არ არიან ბევრი რამით განებივრებულები, თავიანთი სახელების წარმოჩინება გაზეთის ფურცლებიდან ვფიქრობ, მათთვის სასიამოვნოც იქნება და ერთგვარად სტიმულის მომცემიც.

ჩანართი რომ საინტერესო და კითხვადი გახდეს, თქვენი თანადგომა საჭიროც არის და მნიშვნელოვანიც. ჩვენ ერთად შევძლებთ ვაკეთოთ კეთილი საქმეები. თანამშრომლობის მსურველებს გეპატიჟებით რედაქციაში.

ბოლოკში უფლისა ვედრება ქრისტესადმი

ვაი რა კარგი სარბენი, რა ადვილ მივიჩქეფდი!
ხთისგანისაკენ კეთილი შურით ვერ გასწრიფდი,
მაცხოვრისაკენ შენ მათი ყანწყმენდლისად მივიჩქეფდი,
დიდება მოთმინებასა, შენსა, უფალო იესო!
ვაი, რა კარგი სარბენი, რა ადვილ მივიჩქეფდი!
ლვთის საიდუმლო გაგვიგეს, გულში ვერ დაგვიგეფდი,
თცდასათ ვერცხლად გაგყიდეს, ისიც კი გასანბნეფდი,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!
ვაი რა კარგი სარბენი, რა ადვილ მივიჩქეფდი!
ავსაყარეფდა გაგცეკვლეფს, ხარაბა მათ ირჩეფდი;
ურიგო სიტყვა შეგეკადრეს, გაგლანძღეს, გაგათრეფდი,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!..

დაეთ ბურაძეშვილი

მწუხარებას სიხარული მოსდევს ქრისტიანთა გულებში, საღამოს იწყება ლიტურგია ეკლესიებში. ლიტანიაში უამრავი ხალხი მონაწილეობს და ცისკარზე დგება ნანატრი წუთები... დროის ყველაზე ბედნიერი მონაკვეთი ქრისტიანთათვის. „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი“. ვგალობთ უკვე მერამდენედ მგალობლებთან ერთად და კიდევ გვინდა გავიმეოროთ... „ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა! ასე ესალმებიან ქრისტიანები ერთმანეთს ამაღლებამდე. იერუსალიმში კვლავ ხდება ის სასწაული, რითაც უფალი ყოველ წელიწადს ერთხელ კიდევ გვახსენებს თავის თავს და ღვთიურ ცეცხლს გარდმოავლენს. დიდ შაბათს ზეციდან გადმოდის ცეცხლი და ინთება მართლმადიდებელი პატრიარქის ხელში. პირველ 10-15 წუთის მანძილზე ცეცხლი არ წვავს, მერე ჩვეულებრივ მხურვალებას იძენს. იერუსალიმის სასწაული კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ჩვენი რწმენა ჭეშმარიტია.

ერთ წელიწადს ასეთი ამბავი მოხდა: მონოფიზიტებმა მოისყიდეს მცველები, შეასწრეს ტაძარში მართლმადიდებელთა პატრიარქს, კარები ჩაკეტეს და დაიწყეს ლოცვა საღმრთო ცეცხლის მისაღებად. უდიდეს ზეიმზე მოსული მართლმადიდებლები გაოგნებულები დარჩნენ დაკეტილ კართან... მათი პატრიარქი მათთან იდგა და ლოცულობდა. უცებ ცა მოწმენდილზე დაიქუხა, ცეცხლმა თავზე გადაუარა მონოფიზიტ პატრიარქს, გააპო მარმარილოს სვეტი და გარეთ, ეზოში მდგარი მართლმადიდებელი ქრისტიანის ხელში აინთო. ის სვეტი ახლაც დგას, როგორც დასტური ჩვენი რწმენის ჭეშმარიტებისა. ამიტომ, თუკი ოდესმე ეჭვი შეგეპარება ღვთის არსებობაში, ან იმაში, რომ მართლმადიდებლობა ერთადერთი ჭეშმარიტი სარწმუნოებაა, ყოველთვის გაიხსენოთ ცეცხლის ყოველწლიური გარდამოსვლა აღდგომის მაუწყებლად და ის გაბზარული სვეტი, რომელიც უტყვი, ფიზიკური დასტურია უფლის არსებობისა.

ლულაენის კვირეული მოსწავლეთა სახლში

1978 წლის 14 აპრილს საქართველოს მოსახლეობამ, ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ერთად, მასობრივი გამოსვლა მოაწყო და წინ აღუდგა სამჭოთა კავშირის გადაწყვეტილებას, საქართველოში ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის გაუქმების შესახებ. კრემლის გადაწყვეტილებას მთელ სამჭოთა კავშირში მხოლოდ საქართველო, სომხეთი და მალტიისპირეთის ქვეყნები შეეწინააღმდეგნენ.

1978 წლის 14 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან რუსთაველის გამზირისკენ 15 000-მდე ადამიანი დაიძრა. სტუდენტებსა და ინტელიგენციის წარმომადგენლებს სხვა მოქალაქეებიც შეუერთდნენ.

რუსთაველის გამზირზე თითქმის 100 000 ადამიანი შეიკრიბა და პირველად სამჭოთა კავშირის ისტორიაში, კომუნისტურმა რეჟიმმა უკან დაიხია. მთავრობამ იძულებული გახდა, საპროტესტო აქციის მონაწილეთა მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა.

შესამამისად, კონსტიტუციის 75-ე მუხლის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ენად ქართული ენა გამოცხადდა.

მას შემდეგ ქართული საზოგადოება 14 აპრილს დედაენის დღეს აღნიშნავს.

დედაენის დღისადმი მიძღვნილი კვირეული ჩატარდა ხომის მოსწავლეთა სახლში. ღონისძიების სულისჩამდგმელი გახლდათ მოსწავლეთა სახლის მთავარი სპეციალისტი ქალბატონი აზა თათარიშვილი, რომელიც წლეულ სათავეში უდგას ამ სკოლას და შრომასა და ენერგიას არ იშურებს მავშვების სულიერი საზრდოს ჩამოყალიბებაში.

კვირეული დაიწყო პატარა პოეტი ბიჭის „ბენეფისით“ „მე ვკითხულობ საკუთარ ლექსებს“. ქარიატელი ***მერაბ ქვარცხვა*** *VI კლასში სწავლობს, ოთხი წლის ასაკში კითხულობდა, სწორედ ამ ასაკში დაწერა პირველი ლექსი. როგორც თავად ამბობს, არ უყვარს როცა რამეს აძალებენ, უყვარს გაჭირვებული ადამიანების დახმარება, ქართული პოეზია, სწავლა. როგორც ყველა ბავშვი ცელქია, სურს იმოგზაუროს ინგლისში, რომსა და იტალიაში.*

მერაბი ჯერ პატარაა, დიდ პოეტობამდე მას დიდი და საკმაოდ შრომატევადი გზა აქვს გასავლელი, მოდით, ნუ ვიქნებით ამ პატარა ბიჭის მიმართ კრიტიკულები. ამჯერად მის ამ ფაქიზ ბავშვურ პოეზიას დავჯერდეთ და ვუსურვოთ წარმატებები...

ქარიაცა

ქარიაცა, ვინ შეგარძვა ეს სახელი?
ავდარსა და მუდამ ქარს, რომ ელი,
მიყვარს, მიყვარს ჩემი ქარიაცა,
მიხარია და სულ ამას ვმღერი.
გაზაფხულზე მაყაყების ყიყინი,
ზაფხულში კი კოღოების კმენა,
ეზოს ავსებს ჩვენი ქრიამული,
კისკისი და უთავმოლო რმენა.
აქ, დაირჩა ჩემი ცკმილი აკვანი,
აქ, მიმღერა დედამ ცკმილი ნანა,
აქ, ვისწავლე მე პაცარამ გავლა,
აქ სირმილში არ მჩვევია დაღლა.
როგორ მიყვარს ხომისწყალში
ბანავი,
მის ჭალებში ფეხშიშველა
ცანცალი.

26 მაისი

ისევ დადგა 26 მაისი
გამარჯვების და დიდების აისი,
შევიკრიბეთ საქართველოს ერი
დადგა ჩვენი წარმატების ჯერი.
უკან დარჩა ცხრა აპრილის ექო,
საქართველოს სისხლისღვრა
არ ეყო,
თავს დაგვაცდა ათეხაზეთის ომი,
მტერმა ლამის ნაწილებად დაგვყო.
დაცრიალდა ცრაგედია-გორი,
დღესაც მახსოვს მე აგვისტოს ომი,
დაღუპული მეზობელი ლევანი-
ის ჭამუკი გმირი სახელოვანი.
წინ მივდივარ არ მოვისრი ძოდს,
ვასახელებთ სახელოვან ერს
ჩვენი დროშა არ დაიწევს დამლა
ის ვაცაროთ სულ მაღლა
და მაღლა.

დედაო ენავ!..

დედაენის დღეს მიეძღვნა კალიგრაფიის კონკურსი, მასში ხობის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ. მოსწავლეებს ასაკის მიხედვით დაურიგდათ გადასაწერი ნიმუშები და მიეცათ გარკვეული დრო წერისათვის. კალიგრაფიის კონკურსს ესწრებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის წარმომადგენლები. მათ მოეწონათ ბავშვების ნამუშევრები, ვინაიდან თითქმის ყველა ნამუშევარი კარგად იყო შესრულებული, ქალბატონმა აზა თათარიშვილმა ბავშვების სასარგებლოდ მიიღო გადაწყვეტილება და უკლებლივ ყველა მონაწილეს გადასცა სამახსოვრო პრიზები.

კვირეულის ბოლო აკორდი კი გახლდათ დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელიც უშუალოდ მოსწავლეთა სახლის ნორჩ ჟურნალისტთა წრის მოსწავლეებმა და ახალბედა დეკლამატორებმა წარმოადგინეს. ღონისძიებაზე საუბარი იყო ქართული ენის ისტორიულ წარსულზე. წაკითხულ იქნა ქართველი პოეტების ლექსები. ბავშვები ძალისხმევას არ იშურებდნენ ღონისძიება კარგი და მოსაწონი, რომ ყოფილიყო. მათ ეს მართლაც, შეძლეს, თითოეულმა თავისი როლი კარგად მოირგო. ყოჩაღ, მათ ამისათვის, ისინი მართლაც, რომ ქების ღირსნი არიან.

ერთი რამ კი უდაოდ სათქმელია, პატარებს ჩვენი თანადგომა მუდმივად ესაჭიროება, მათთვის დარბაზში ხალხის სიმრავლე ერთგვარი სტიმულის მომცემია, ნუ მოვაკლებთ მათ ამ სიამოვნებას. დავაფასოთ მომავალი თაობა და ანგარიში დიდებს თუ არა, ბავშვებს მაინც გავუწიოთ...

თქვენთვის, ბავშვებო!

„წესი მიიწვს ადამიანი ბავშვობიდან მომავლისაკენ, იყოს კეთილი შენი შარა-გზა, ჯიჯილო, ნორჩო, იქცე უანდა...“

მოდის თაობა თაობათა ცვლა ცხოვრების გარდაუალი კანონია. ახალ ათასწლეულს მოაქვს იმედები, ახალი ხმები, ახალი ოცნებები და რწმენა ხვალინდელი დღისა. გთავაზობთ თქვენი თანატოლების შემოქმედებას.

მიტოვებული სახლი

(ჩანახატი)

სოფლის შუაგულში დგას ერთი მოკრძალებული ოდა სახლი. დიდი ხანია აქ არავის უცხოვრია. ირგვლივ ყველაფერი დუმს: მცენარე, საქონელი, ცაც და დედამიწაც. ხეებიდან ნაყოფი სცვივა, აღარ ჩხრიალებს ღარიდან წყალი, აღარ ყივის მამალი, კარ-მიდამო სარეველა ბალახით არის დაფარული. ყველა იქ მცხოვრებთა სახლებში ისმის ყიჟინა, მხიარული შეძახილები. მხოლოდ ამ სახლის ირგვლივაა ყველაფერი მკვდარი... რომელიც გაუთავებელი, დაუსრულებელი, სულისმღრნელი შენატვრის პატრონს, გამვლელ-გამომვლელს ნაღვლიან თვალს აყოლებს, იქნებ გამოჩნდეს მისი მშველელი. მასაც უნდა სითბო, ბუხარში აგიზგიზებული ცეცხლი, რომ გაითბოს გაყინული გვერდები.

მოდი ადამიანო, არ გეცოდები? გამანიავე, ვიხუთები, მეც მიყვარს შენებრ სისუფთავე, რამდენი მოდგმა გამოვზარდე, გთხოვ, ყურად მიიღო ჩემი თხოვნა.

ანი ბუცხრიკიძე,
№1 საჯარო სკოლა, მე-5 კლასი.

ნორჩი მხატვრები

ირაკლი ფაჩულია მე–6 კლასი №1 საჯარო სკოლა

ნუკრი ძოგალია მე–6 კლასი №1 საჯარო სკოლა

დედამიწის დღე

დედამიწის დღესთან დაკავშირებით ხობის 1 საბავშვო ბაგა-ბაღში ერთჯერადი ბოთლებისაგან შესრულებული ნივთების გამოფენა ლოზუნგით—„არ დავანაგვიანოთ გარემო“, „ვიყვარდეთ თქვენი ქალაქი“ გაიმართა. ბაგა-ბაღში მისულები, ულამაზესი სანახაობის მოწმენი გავხდით. ყვავილების კომპოზიციები, ლარნაკები, სააღდგომო კვერცხები და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი ულამაზესი ნიმუში იყო წარმოდგენილი გამოფენაზე. ნივთების შექმნაში ბაღის პედაგოგები იღებდნენ მონაწილეობას. ნამუშევრებმა დამსწრე საზოგადოების მოწონება და აპლოდისმენტები დაიმსახურეს.

ზღაპარი

ერთხელ ერთმა შაჰმა ვეზირს ჰკითხა:

–ქვეყანაზე ჩემზე ძლიერი არავინ არისო?

–ვეზირმა მორჩილად დაუკრა თავი და უპასუხა:

–დიდებულო შაჰო, შენზე ძლიერებიც მოიძებნებიანო!

გაბრაზებულმა შაჰმა ვეზირს მიუგო:

– ადამიანთა ბედი ჩემს ხელთაა, მოვისურვებ, კაცს მოვაკვლევინებ, მოვისურვებ-ჯურღმულში ჩავაგდებ, მოვისურვებ და -ვეზირობას ვუბოძებ. აბა თუ შეგიძლია, ჩემზე შემძლე მაჩვენე ვინმეო!

ვეზირმა შაჰს მაშინვე თავისი შვილი მიჰგვარა. ცოტა ხანში ბავშვი ატირდა:

–მამა, წყალი მწყურიაო!

დაფაცურდა შაჰი, ტახტიდან წამოხტა და ბავშვს წყალი მოუტანა.

ვეზირი მამა-შვილს თვალყურს ადევნებდა ჩუმ-ჩუმად და ეცინებოდა.

პატარა შაჰ ზადემ ისევ მორთო ტირილი.

-მამა, რძე მინდაო!

შაჰმაც ბრძანა და რძეც მაშინვე მოუტანეს.

-მამა, რძე და წყალი ერთმანეთში აურიეო.

ყველაზე დიდი ბატონი ბავშვია

პატარა შაჰ ზადემ ისევ მორთო ტირილი.

-მამა, რძე მინდაო!

შაჰმაც ბრძანა და რძეც მაშინვე მოუტანეს.

-მამა, რძე და წყალი ერთმანეთში აურიეო.

შაჰმა გაუგონა შვილს და რძე წყალში ჩაასხა.

–ახლა წყალი უკან გადმოასხიო, გაჭირვეულდა ბავშვი. შაჰმა ვეზირ მოითმინა და იყვირა:

რძიდან წყლის გადმოსხმა როგორ შეიძლებაო?

ბავშვმა ტირილი მორთო. ვეზირი უყურებდა და ეცინებოდა. შაჰმაც შეხედა მას და უნებურად წამოსცდა:

-მართლაც და ბავშვთან უძლური გამოვდექი. ტყუილად არ ყოფილა ნათქვამი: ყველაზე დიდი ბატონი ბავშვიაო. თურმე, რასაც მოისურვებს, იმას გაგაკეთებინებსო.

ვიქტორინა

გამოსცადე შენი თავი!

1. პირველი პირამიდა აიგო ფარაონ:
ა)ჯუსურისათვის; ბ)ხეოფსისათვის; გ)მენესისათვის.

2. იეროგლიფები პირველმა გაშიფრა:
ა)ფრანსუა შამპილიონმა; ბ)ტუტანჰამონმა; გ)კიროსმა.

3. ბუდიზმი იყო სახელმწიფო რელიგია:
ა)ეგვიპტეში; ბ)ურარტუში; გ)ჩინეთში.

4.პირველი ანბანური დამწერლობა შექმნეს:
ა)ეგვიპტელებმა; ბ)შუმერებმა; გ)ფინიკიელებმა; დ)ხეთებმა

5.პირველი დაწერილი კანონთა კრებულის ავტორი იყო:
ა)ხეფრენი; ბ)ჰამურაბი; გ)ცინ შუხუანდი.

6. „ზღვიდან ზღვამდე“ გადაჭიმული იყო:
ა)ასურეთი; ბ)ხეთების სამეფო; გ)ინდოეთი.

სახალისო მათემატიკა

კარლსონი

სახურავის მობინადრე კარლსონი ესტუმრა კეთილ ბიჭუნას, ბიჭუნამ სტუმარს გამოუტანა მურაბა, რომელიც ქილიანად იწონიდა 3 კ.გ-ს.

როდესაც კარლსონმა შეჭამა მურაბის ნახევარი, მაშინ ქილამ მურაბასთან ერთად აიწონა 2 კ.გ. რამდენი კილოგრამი მურაბა შეუჭამია კარლსონს?

ვაშლები

მაქვს სამი კალათი, რომელთაგან თითოეულში 11 ვაშლია. ყოველი კალათიდან ვიღებ თითო ვაშლს შემდეგი წესით: მარცხენა, შუა, მარჯვენა, შუა, მარცხენა, შუა დ.ა.შ.

მაშინ, როცა შუა კალათა დაცარიელდება დანარჩენი ორი კალათიდან ერთ-ერთში მეტი ვაშლი აღმოჩნდება ვიდრე მეორეში. მაინც რამდენი?

ჩანართი მოამზადა ნინო გერგაიამ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘ

„სურვილი მაქვს, თემს გულწრფელად და პატიოსნად ვემსახურო“

4

უმწეო მდგომარეობაში და რამდენს არ ჰქონდა შესაბამისი დახმარება.

რინელ, როგორ შეხვდა მოსახლეობა თქვენს თემში რწმუნებულად დანიშვნას. ბევრი მხარდამჭერი გყავთ, თუ უკვე მთელი თემი აიყოლიეთ და ცხოვრების ახლებურად წარმართვა დაიწყეთ?

–ვფიქრობ, მოსახლეობა ჩემს მიმართ დადებითად არის განწყობილი. ეს კარგად ჩანს ურთიერთობებში, რაც შეეხება ცხოვრების ახლებურად დაწყებას, პირველი ოქტომბრიდან მთელი სახელმწიფო განსხვავებული რეჟიმით ცხოვრობს. არც ჩვენ ვართ გამონაკლისები. შესამჩნევია ისიც, რომ საზოგადოება თავს გაცილებით თავისუფლად გრძნობს, საკუთარი აზრის დაფიქსირების არ ეშინია. ეს არჩევნები ჭეშმარიტად წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

ამჯერად რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად ახალი ხელისუფლების ბარათების დარიგებაა უპირველესი საზრუნავი. თქვენს თემში რა ეტაპზეა ეს პროცესი. დასრულდა ორივე სახის ბარათების ხალხამდე მიტანა, ხომ არ არის ვინმე უკმაყოფილო, არიან თუ არა ისეთები, რომლებსაც არ მიუღიათ აღნიშნული ბარათები? თუ არიან, რამ განაპირობა ეს?

–სასოფლო-სამეურნეო ბარათები უპრობლემოდ დავარიგეთ. ის ბენეფიციარები, ვინც სხვადასხვა მიზეზით ბარათები ვერ მიიღეს, დამატებით სიებში შევიყვანეთ და უახლოეს დღეებში გადავცემთ კუთვნილ ბარათებს. რაც ყველაზე მთავარია, მოქალაქეები ძალიან კმაყოფილები არიან. ბევრ მათგანს საშუალება ეძლევა წლობით დაუმუშავებელი მიწისაგან სარგებელი მიიღოს. სულ მოსახნავია 410 ჰექტარი, მოხნულია დაახლოებით 70 პროცენტი. თუ ამინდები იქნება, თესვა ხვნის დამთავრებისთანავე დაიწყება.

დღეს ყველა სოფელში თუ თემში ბევრი რამ არის შესაცვლელი, გადასახალისებელი, გასაკეთებელი (ინფრასტრუქტურა მაქვს მხედველობაში). თქვენთან სოფლის მხარდაჭერის პროგრამა რის გაკეთებას ითვალისწინებს?

–ამას წინათ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან ერთად თემის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გვქონდა ძალიან გულწრფელი, საინტერესო შეხვედრა. ახალი ხიბულის მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობით გამოიკვეთა პრიორიტეტები და დავიწყებთ მათ მოგვარებას. ამ პროგრამით ვაპირებთ წყლის სისტემის მოწესრიგებას, მოსაცდელისა და ხიდბოგირების მშენებლობას, სათამაშო მოედნის შეკეთებას და ა.შ.

ხალხი კმაყოფილია ახალი ხელისუფლების მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯებით, კიდევ რას მოელიან, რა აზრი მუსირებს?

–რა თქმა უნდა, პირველი ნაბიჯებით კმაყოფილები არიან, რამეთუ ამ მასშტაბის მხარდაჭერა სოფლის მოსახლეობას არ ახსოვს. მომავალში კი უმუშევრობის აღმოფხვრის და ინფრასტრუქტურის მოწესრიგების იმედი აქვთ.

საერთო საქმე წარმატებით რომ გადაიჭრას, გაქვთ ხალხის ჩართულობის იმედი? მომავალ არჩევნებში მათგან მხარდაჭერას მოელით?

–წინა ხელისუფლების პირობებში საზოგადოება, მოქალაქეები, საერთოდ იგნორირებული იყვნენ. ყველა საკითხი თითო-ოროლა ადამიანის მიერ კაბინეტებში წყდებოდა. ჩვენ თუ გვინდა, ჩამოვყალიბდეთ დასავლური ტიპის საზოგადოებად, აუცილებელია ყველა მიმდინარე პროცესში საზოგადოება მაქსიმალურად იყოს ჩართული. დარწმუნებული ვარ, ახალი ხელისუფლების პირობებში მათი ჩართულობა უზრუნველყოფილი იქნება.

ახალ ხიბულაში დაიბადეთ და გაიზარდეთ. თემი გიცნობთ, მაგრამ ხობის მუნიციპალიტეტში ახალი სახე ხართ. გაეცანით ხალხს–ვინ არის რინელ ადამია?

–საკუთარ თავზე ლაპარაკი მეუხერხულება. დავიბადე 1980 წლის 14 იანვარს. მამა–ვარადებულ ადამია გახლავთ, დედა მზისადარ ჩილაჩავაა. მყავს და მაკა, რომელსაც საკუთარი ოჯახი აქვს. მე დასაოჯახებელი გახლავართ.

ვსწავლობდი ახალი ხიბულის საშუალო სკოლაში. დამთავრებული მაქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ჰუმანიტარულ, სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი პოლიტოლოგიის განხრით. ასევე ვსწავლობდი სოხუმის მენეჯერთა ინსტიტუტში იურიდიულ ფაკულტეტზე სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

მყავს მეგობრების ფართო წრე და მათთან ურთიერთობას შეძლებისდაგვარად ვახერხებ, მეადვილება მათთან და ხალხთან ურთიერთობა. ვცდილობ, ვიყო ჩემი თანასოფლელების გვერდით გაჭირვებაშიც და ლხინშიც.

კიდევ რას გვეტყოდით. იქნებ თქვენი სამომავლო გეგმები გაგვანდოთ?

–ჩემს გეგმებთან დაკავშირებით მსურს გითხრათ, რომ უპირველესად მინდა, წარმატებით ჩავატარო მიწის ხვნისა და გაფხვიერების სამუშაოები, ასევე „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებიდან გამომდინარე, პრიორიტეტული საკითხების მაქსიმალურ დროში ეფექტურად და ხარისხიანად შესრულება.

დიდი სურვილი მაქვს, ჩემს თემს გულწრფელად და პატიოსნად ვემსახურო.

ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲜᲐᲜᲘ ᲙᲘᲚᲐᲡᲝᲜᲘᲐ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲗᲔᲛᲨᲘ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲦᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲯᲒᲣᲤᲘ ᲓᲐᲔᲛᲐᲢᲐ

22 აპრილს ხობის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის საბავშვო ბაღში, მშობელთა მოთხოვნით და კონტიგენტის ზრდის საფუძველზე, ადგილობრივი ბიუჯეტის სრული დაფინანსებით, ა(ა)იპ ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების ხელმძღვანელმა ელისო კვიკვინიამ 29 აღსაზრდელზე მესამე, 4-5 წლიანთა ჯგუფი გახსნა. საადმზრდელო ჯგუფის აღმზრდელია მასწავლებელი დალი ქარცხია, აღმზრდელის თანაშემწე ნანა ხითარიშვილი. მშობლებმა ჯგუფის დამატებისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელობის მიმართ მადლიერება გამოთქვეს და ელისო კვიკვინიას განსაკუთრებული მადლობა გადაუხადეს.

ᲮᲝᲑᲘᲡ ᲭᲣᲛᲑᲔᲠ ᲚᲔᲭᲐᲕᲐ ᲡᲢᲣᲛᲠᲝᲑᲓᲐ

საქართველოს ველოტურის ფარგლებში მსოფლიო ველომოგზაური, გინესის მრავალგზის რეკორდსმენი, მსოფლიო მოქალაქე და სპორტსმენი, გაეროს ბუნების დაცვის ელჩი, იუნესკოს მსოფლიო დესპანი, სპორტის დამსახურებული მუშაკი ჯუმბერ ლეჟავა ქართული ველოტურის მარშრუტის ფარგლებში ხობს სტუმრობდა.

მსოფლიო ველომოგზაურს, 18 აპრილს ხობში მუნიციპალიტეტის გამგებელი კახაბერ ბენიძე, გამგებლის მოადგილე მახარე ჩოკორაია, გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ფერიდე გოგია და გამგეობის წარმომადგენლები ადგილობრივ მოსახლეობათან ერთად შეხვდნენ. შეხვედრა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში გაიმართა და საინტერესო ატმოსფეროში ჩაიარა, სპორტსმენმა დამსწრეებს მისი ახალი ტურის შესახებ ინფორმაცია გააცნო.

ველოტურის მიზანი მასშტაბური და მრავალმხრივია, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებას, ქართული ტრადიციებისა და კულტურის პროპაგანდას, ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან კავშირურთიერთობების გაღრმავებას, კომპანიების რეკლამირებას, ტურისტების, ინვესტორებისა და ბიზნეს-პარტნიორების მოზიდვას და სხვა.

74 წლის სპორტსმენი საქართველოს ველოტურის ფარგლების დასრულების შემდგომ უკვე მე-7 ველოტურისთვის, „ჯუმბერ ლეჟავა – ევრაზია“-სთვის ემზადება.

ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ „ᲒᲐᲔᲜᲐᲗᲘ“ ᲮᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐᲨᲘ

16 აპრილს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში ქალთა არასამთავრობო ასოციაცია „გაენათის“ წარმომადგენლები ეკატერინე კვირკველია, ნეკა კობახიძე და შვედი სოფია სტრაივი შეხვდნენ აქტიურ ქალბატონებს: არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს, ადგილობრივი მედიის ჟურნალისტებს, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს თანამშრომლებს, იურიდიული პირების წარმომადგენლებს და პოლიტიკური პარტიის წევრებს. შეხვედრის მიზანი იყო ქალთა პოლიტიკური ჩართულობის გაზრდა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. შეხვედრას გაცნობითი ხასიათი ჰქონდა. ასოციაცია „გაენათის“ წარმომადგენელმა ნეკა კობახიძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო „გაენათის“ მიერ განხორციელებული და განსახორციელებელი პროექტები. პოლემიკაში აქტიურად ჩაერთვნენ გენდერული თანასწორობის საკითხებში ტრენინგის მონაწილეები.

შეხვედრაზე ასოციაცია გაენათის სტაჟიორმა შვედმა სოფია სტრაივმა საკუთარი ქვეყნის მაგალითზე ისაუბრა ქალთა ჩართულობაზე პოლიტიკურ ცხოვრებაში, დაინტერესდა ქალთა პოლიტიკური შეხედულებების სხვაობით შვედ და ქართველ ხალხს შორის. შეხვედრაზე მთავარ თემად გამოიკვეთა გენდერული თანასწორობა და ქალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაზედაც საინტერესო დისკუსია გაიმართა. მსგავსი შეხვედრების გამართვას და ჩართულობის არეალის გაფართოებას ასოციაცია „გაენათის“ წარმომადგენლები სხვა მუნიციპალიტეტებშიც გეგმავენ.

ᲮᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

„ᲞᲐᲢᲘᲕᲘ ᲔᲪᲘ ᲡᲘᲑᲔᲠᲔᲡ, ᲘᲡ ᲨᲔᲜᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘᲐ!“

სათნოების სახლი... ბევრის მომცველია ეს სიტყვა...

ერთ დროს აქ მყოფ ადამიანებს არ უჭირდათ. პირიქით, ბევრი მათგანი ძალიან კარგადაც ცხოვრობდა. დრომ მოიტანა და უმუშევრობამ მათ დარია მსახვრალი ხელი. ბევრი მათგანი ცხოვრების უკუღმართობამ გზასაც ააცდინა. ასე, რომ დღეს მთელ საქართველოში ბენეფიციართა სიმრავლეა. ხობის სათნოების სახლში ასამდე ბენეფიციარი სადილობს. ცხოვრებამ ეს ადამიანები ერთმანეთს დააკავშირა, რადგანაც ერთნაირი ბედის თანაზიარნი გახდნენ.

ხობის სათნოების სახლს ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს (დირექტორი ირმა გაბუნია, მოადგილე თამარა კვირკვაია, ფინანსური მენეჯერი ლელა ქანდარია, მთავარი სპეციალისტი ნანა დგებუაძე, სპეციალისტი სვეტლანა გვასალია)...

კოლექტივის ადმინისტრაციამ ამას წინათ გადაწყვიტა ამ ადამიანებისთვის სიურპრიზი მოეწყოთ–ჩაეტარებინათ კონცერტი და მონაწილეებიც თავად ბენეფიციარები ყოფილიყვნენ. ამ დღის მოლოდინში იყვნენ ისინი და აი, 15 აპრილს, ეს დღეც დადგა. დღესასწაული სიყვარულის დღეს მიეძღვნა.

ბენეფიციარებმა მართლაც იგრძნეს, რომ მათზე ზრუნავენ, რომ ურთიერთსიყვარული და ურთიერთპატივისცემა უდიდესი განტვირთვა და იმ ტკივილებისაგან დროებით თავის დაღწევაა, რომელსაც წლებია თითოეული მათგანი განიცდის. ბენეფიციართა შორის ბევრი ასაკოვანი, შუახნისა თუ ახალგაზრდაა, არიან პატარებიც...

ღონისძიებაზე იყო სიმღერა, ცეკვა, ლექსები... რომელშიც ბენეფიციარებთან ერთად ამ სახლის ხელმძღვანელებიც ჩაერთვნენ. აღმოჩნდა, რომ ზოგს საკუთარი ლექსიც ჰქონია, ზოგი მოგონებებში ჩაიძირა და გახალისდა, ბევრს ტკბილ-მწარე მოგონებები ერთმანეთში აერია... მაგრამ მაინც ყველაფერი კარგი და ლამაზი იყო. ეს დღე მათდამი პატივისცემას, სიყვარულსა და თანადგომას მოიცავდა.

– გვინდა ასეთი ლამაზი დღეების ტრადიცია დავაფუძნოთ,–აღნიშნა ჩვენთან საუბარში ქალბატონმა ირმა გაბუნიამ. ეს მათთვის შვება და სიხარული იქნება. ჩვენ ვიხედებით თითოეულის უკიდეგანო, ტკივილითა და იმედგაცრუებით სავსე სამყაროში. ჩვენი ადმინისტრაცია ერთმანეთის მხარში ამოდგომით ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მათ ერთი დღე მაინც გავულამაზოთ. ამაში ღვთის მადლი დაგვეხმარება. მათ უნდა იგრძნონ, რომ ღმერთი მათთანაა!

კონცერტს ესწრებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, გამგეობისა და საზოგადოების წარმომადგენლები.

ზეიმის ბოლოს სათნოების სახლის დირექტორმა ირმა გაბუნიამ, უანგაროდ გაწეული მუსიკალური გაფორმებისთვის მადლობა გადაუხადა თეა ბაჩილავას, ხოლო მონაწილე ბენეფიციარებს საჩუქრად ხატები გადასცა და მსგავსი ღონისძიებების მრავალჯერ ჩატარების სურვილი გამოთქვა.

ᲜᲐᲜᲐ ᲙᲔᲛᲣᲚᲐᲠᲘᲐ

სპორტი

რეგიონალური ტურნირი ჭადრაკში

დასრულდა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის აბსოლუტური ჩემპიონატი ჭადრაკში, რომელიც შვეიცარული სისტემით 13 აპრილს ქ. ხობის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში დაიწყო და ხუთი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. ჩემპიონატში მონაწილეობდნენ მოყვარული და პროფესიონალი მოჭადრაკეები. ტურნირის ორგანიზატორი იყო სამეგრელო-ზემო სვანეთის ჭადრაკის რეგიონალური ფედერაცია, ხოლო ფინანსური მხარდამჭერი–ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა. ტურნირის დირექტორი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი და ეროვნული კატეგორიის არბიტრი ირაკლი გეთია გახლდათ, ხოლო ტურნირის მთავარი მსაჯი საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი, რეგიონის ჭადრაკის ფედერაციის გენერალური მდივანი, ფოთის ნ. ალექსანდრიას სახელობის საჭადრაკო სკოლის დირექტორი დავით კოდუა.

ჩემპიონატი 9 ტურად გაიმართა. მასში ხობის, ზუგდიდის, ფოთის, სენაკის, წალენჯიხისა და ჩხოროწყუს ორმოცდაათამდე მოჭადრაკე იღებდა მონაწილეობას. ჩემპიონატის პირველ ექვს დაფაზე გამართული თამაშებისთვის თვალის მიდევნება მსურველებს ინტერნეტით–ონლაინ რეჟიმში შეეძლოთ.

აღსანიშნავია, რომ ჩემპიონატს ქვემო ქართლის ჭადრაკის წარმომადგენლები სტუმრობდნენ. როგორც ისინი ამბობენ, რეგიონებს შორის ჭადრაკი სამეგრელოში მაღალ დონეზეა განვითარებული. მათი მიზანი იყო ჭადრაკში არსებულ მიღწევებს გაცნობოდნენ და გამოცდილება გაეზიარებინათ.

შეხვედრები დაძაბულად მიმდინარეობდა. ორთაბრძოლის შემდეგ გამოვლინდნენ პრიზიორები და გამარჯვებულები.

8 წლიანებში გამარჯვებული გახდა **თეიმურაზ კვიკვინია (ხობი);** 10 წლიანებში პირველი ადგილი დაიკავა **ალიკა ქარაიამ (ზუგდიდი);** 12 წლიანებში უძლიერესი გახდა **ლუკა შამუგია (ხობი);** სინიორთა შორის 60 წლის და ზემოთ პირველი ადგილი დაიკავა **ბადრი ლომაიამ (ხობი);** ქალებში პირველ ადგილზე გავიდა **ადა ქაქუთია (ფოთი).**

აბსოლუტური ჩემპიონატის გამარჯვებული გახდა **გიორგი გამზარდია (ფოთი);** მეორე ადგილი დაიკავა **დიმიტრი კვარაცხელიამ (ზუგდიდი);** მესამე ადგილს დასჯერდა შარშანდელი ჩემპიონი **გოჩა ჩაჩუა (ფოთი).**

დასახელდა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის 2012 წლის საუკეთესო მოჭადრაკე და მწვრთნელი. საუკეთესო მოჭადრაკედ აღიარებულიქნა ხობელი ნორჩი გოგონა, ევროპის თასის მფლობელი **დიანა ლომაია;** საუკეთესო მწვრთნელად დასახელდა დიანას მწვრთნელი **ირაკლი გეთია.** მათ სპეციალური პრიზები გადაეცათ, რომელიც ფირმა **„პრაიმბეტონმა“** დააწესა (წარმომადგენელი თემურ ნადარაია).

საჯარო ბიბლიოთეკამ კი ყველაზე პატარა მონაწილე **თეიმურაზ კვიკვინია** წიგნით დააჯილდოვა.

დაჯილდოებაში მონაწილეობდნენ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე **მახარე ჩოკორაია**, გამგეობის, კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი **ფერიდე გოგია**, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი **ნანა ბუკია**, სპორტის მთავარი სპეციალისტი **ლევან ლემონჯავა**, განათლების ცენტრის დირექტორი **ხათუნა ხორავა**, სამეგრელო-ზემო სვანეთის ჭადრაკის რეგიონალური ფედერაციის პრეზიდენტი **გერმანე სალია** და ტურნირის მსაჯი **დავით კოდუა**.

ვულოცავთ ტურნირში გამარჯვებულებს და წარმატებებს ვუსურვებთ!

ნანა კემულარია

თემა

„მსურს, მოდის სფეროში ჩემი ადგილი დავიმკვიდრო..."

ნინო (cocoro) იოსავა (ასე იცნობენ მას მეგობრები), ერთი ნიჭიერი გოგონაა, რომელმაც მავშვობიდანვე უამრავ წარმატებას მიაღწია. მისი ნამუშევრები საერთაშორისო გამოფენაზეც მოხვდა და დიდი მოწონებაც დაიმსახურა. ნინო მოსწავლეობის პერიოდში სხვადასხვა შემოქმედებით წრეებზე დადიოდა, მაგრამ დიდხანს ვერ ძლებდა და მთელ დროს საცვას უთმობდა. მავშვობაში უამრავი ოცნება ჰქონდა, მაგრამ მოლოს მაინც თავისი საყვარელი საქმე აირჩია და დიზაინერის სპეციალობაზე ჩაამარა.

მანძილის გამო ნინოსთან დაკავშირება facebook–ის მეშვეობით შეგძელი, რომელიც ამ და სხვა კითხვებზე გვესაუბრება...

ნინო, გაეცანი მკითხველს, ვინ ხარ, საიდან მოდიხარ, ვინ არიან შენი მშობლები?

–დავიბადე 1991 წლის 18 მარტს, ქალაქ გაგრაში. მამა თენგიზ იოსავა ქალაქ გაგრის მთავარი ინჟინერი გახლდათ. დედა–ნანა ტუფურია, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტია, რომელიც გაგრაში რუსულ სკოლაში ასწავლიდა. მყავს ერთადერთი და მაია, რომელიც ამჟამად გაცვლითი პროგრამით ნახევარი

წლით სასწავლებლად იტალიაში იმყოფება.

ომის შემდგომ ჩემი ოჯახი იძულებული შეიქმნა საცხოვრებლად სანკტ-პეტერბურგში გადასულიყო, სადაც 14 წელი ვიცხოვრეთ. წლების შემდეგ საქართველოში, მამისეულ ოჯახში–პირველ მაისში დავბრუნდით. დავამთავრე ხობის №1 საჯარო სკოლა. სკოლის პერიოდი არაჩვეულებრივად მახსენდება. აქ ბევრი მეგობარი შევიძინე. ის პერიოდი ჩემთვის ძალიან რთული იყო. ისინი კი მხარში მედგნენ და მამხნევებდნენ, ნამდვილ, წრფელ მეგობრობას მიწევდნენ, რისთვისაც თითოეულ მათგანს უდიდეს მადლობას ვუხდი.

სკოლის დამთავრების შემდეგ ჩავირიცხე აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში. ვარ დიზაინის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი, კერძოდ, მოხატვის განხრით.

როგორ ფიქრობ, რა სახის გავლენა იქონია დიზაინის ფაკულტეტმა შენზე და შენს ხელოვნებაზე?

–როდესაც აკადემიაში ჩავაბარე, თავიდანვე მომზადებული ვიყავი. ძალიან ბევრს ვმუშაობდი საკუთარ თავზე, ჩემებურად მოდელებს ვხატავდი... ჩემმა განხრამ მომცა იმის საშუალება, რომ მე არა მარტო კოსტიუმებზე მემუშავა, არამედ ნაჭრის ზედაპირზეც. ჩვენ მთლიანობაში ვიგონებთ კოსტიუმის დიზაინს. ასევე ვსწავლობ ძალიან საინტერესო ტექნოლოგიებს. ვქმნი ნაჭრის ფაქტურას და შემდეგ კეერავ. მეორე კურსზე ჩემი პრველი ჩვენება მქონდა. ამ ჩვენების ორგანიზატორები იყვნენ აკადემიის თვითმართველობა. ათი დღე და ღამე სრულიად მარტო, მეგობრის ატელიეში ვკერავდი 5 კაბას. ამ ჩვენებამ ძალიან ბევრი რამ მასწავლა და საკუთარ თავშიც უფრო დარწმუნებული გამხადა. მიმახვედრა იმას, რომ ბევრი რამის გაკეთება შემიძლია.

როდის დაიწყე ხატვა, ვინ შეამჩნია შენი ნიჭი, როდის იგრძენი, რომ მხატვრობა შენი საქმეა, შენი მისწრაფება?

–დედაჩემის თქმით, ხატვა ძალიან პატარა ასაკში დამიწყია. ჩემი ხატვისადმი ნიჭი საბავშვო ბაღის პედაგოგს შეუმჩნევია და ჩემი მშობლებისთვის ურჩევიათ, სამხატვრო სკოლაში ვეტარებინეთ.

როდის მივხვდი? ვერ ვიტყვი. ყოველთვის ვიცოდი, რომ ჩემი სფერო და ჩემი ცხოვრება მხატვრობა იყო. არასოდეს მიფიქრია სხვა განხრით წასვლაზე. 4 წლის რომ ვიყავი, ვამბობდი, მულტიპლიკატორი ან დიზაინერი გამოვსულიყავი. იმიტომ, რომ ვაკვირდებოდი როგორ იყო დახატული. ძალიან მომწონდა disneys პერსონაჟები. მერე ქსოვამ დამაინტერესა... ერთი პერიოდი ვფიქრობდი, ფილმების კოსტიუმების დიზაინერი გამოვსულიყავი.

წინააღმდეგობა მშობლებისაგან არ მქონია, ყოველთვის თავისუფალი ვიყავი ჩემს არჩევანში და შემოქმედებაში. ისინიც ყოველთვის ხელს მიწყობდნენ და დღემდე პატივს სცემენ ჩემს არჩევანს.

რა ქვია იმ სტილს, რომელშიც შენ ხატავ და ახერხებ თუ არა ნახატით სათქმელის მთლიანად თქმას?

–სიმართლე გითხრათ, როგორც ნახატი დიდი ხანია არ დამიხატავს, რადგან, მე ძირითადად ვხატავ მოდელებს და ვფიქრობ კოსტიუმებზე.

ძირითადად ვახერხებ ნახატით სათქმელის თქმას, რადგან, როდესაც ვხატავ, ვიყენებ იმას, რაც ჩემში შინაგანად დევს... ყველა ესკიზში ვდებ სულსა და გულს, რადგან, ისინი ჩემი პატარა ნაწილები არიან.

ყველაზე მეტად რომელი ფერები მოგწონს, რა გჭირდება შთაგონებისთვის რომ ხატო?

–ყველა ფერი თავისებურად მიყვარს, მაგრამ ყველაზე განსაკუთრებულად მაინც ფირუზისფერი, მწვანე, ბორდოსფერი და შავი. ვფიქრობ,

10

გოგა ბერაიას სახელობის თასი გათამაშდა

დასრულდა რუსული აგრესიის შედეგად ტრაგიკულად დაღუპული რეზერვისტის გოგა ბერაიას სახელობის თასის გათამაშება მინი ფეხბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ხობის, პირველი ხორგის, გურიფულის, შუა ხორგის, ახალი სოფლისა და ქარიატის ფეხბურთელთა გუნდები.

A ჯგუფში გაერთიანდნენ შუა ხორგის, ხობისა და ქარიატის გუნდები; B ჯგუფში ასპარეზობდნენ გურიფულის, ახალი სოფლისა და პირველი ხორგის გუნდები. ჯგუფური თამაშების შემდეგ ნახევარფინალში გუნდები ასე დაწყვილდნენ: ხობი–გურიფული და შუა ხორგა-ახალი სოფელი. ხობელებმა 5:2 დაამარცხეს გურიფულელები და ფინალში გავიდნენ. შუა ხორგისა და ახალი სოფლის გუნდების შეხვედრის ძირითადი დრო ფრედ, 2:2 დამთავრდა. პენალტების სერიაში შუა ხორგელებმა იმარჯვეს და ფინალში გავიდნენ.

19 აპრილს გაიმართა მატჩი მესამე ადგილისათვის და ფინალი.

მესამე ადგილისთვის მატჩში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ გურიფულისა და ახალი სოფლის გუნდები. გურიფულელებმა 3:1 დაამარცხეს მეტოქე და მესამე ადგილი დაიკავეს. მათ გადაეცათ მესამე ადგილისთვის განკუთვნილი თასი და სიგელი.

ფინალური მატჩი დაძაბულად წარიმართა. თავიდან ხობელები დაწინაურდნენ, მაგრამ შემდეგ შუა ხორგელებმა შეძლეს ორი გოლის გატანა და დაწინაურდნენ, თუმცა მატჩის მიწურულს, ხორგელებმა შეძლეს გათანაბრება და მატჩიც ფრედ, 2:2 დამთავრდა. პენალტების სერიაში კი შუახორგელებმა გაიმარჯვეს და გოგა ბერაიას სახელობის თასის გამარჯვებულები გახდნენ. ხობელებს ერგოთ მეორე ადგილისთვის განკუთვნილი თასი და სიგელი, ხოლო შუა ხორგელებმა დაისაკუთრეს გოგას სახელობის თასი და სიგელი.

ტურნირზე დაწესებული იყო პრიზები საუკეთესო მოთამაშეებისთვის სხვადასხვა ნომინაციაში. საუკეთესო მეკარე გახდა **გივი კვარაცხელია (გურიფული);** საუკეთესო მცველი–**სოსო ხარბედია (გურიფული);** საუკეთესო ნახევარმცველი–**ვლადიმერ გერგაია (ხობი);** საუკეთესო თავდამსხმელი–**ნიკა ვეკუა (ახალი სოფელი);** საუკეთესო ბომბარდირი–**ბექა შელია (შუა ხორგა);** საუკეთესო ფეხბურთელად ერთხმად აღიარეს **გიორგი შენგელია (შუა ხორგა).**

დაჯილდოების ცერემონიალზე ორგანიზატორებმა, დამსწრე საზოგადოებამ და ტურნირის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს აგვისტოს ომის დროს დაღუპული გოგა ბერაიას ხსოვნას.

დაჯილდოებაში მონაწილეობას ღებულობდნენ გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი ბატონი მახარე ჩოკორაია, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი ქალბატონი ნანა ბუკია, სოფელ პირველი ხორგის რწმუნებული ზაალ ბერაია, ხობის „კოლხეთის“ მთავარი მწვრთვნელი ლევან ნოდია, ხობის ფეხბურთის სკოლის დირექტორი ზურაბ ლატარია, გოგას ძმა გიორგი ბერაია.

შეჯიბრება დაფინანსებული იყო ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის (უფროსი ქალბატონი ფერიდე გოგია) მიერ.

ლევან ლემონჯავა

გვწერენ

ღმერთი გფარავდეთ!

ჩვენი სულიერების სიმბოლოა ქალაქ ხობში არსებული სამების სახელობის ეკლესია, რომლის მშენებლობა ჯერ კიდევ ბატონი ანგულ მიქავას დროიდან დაიწყო. მის დასრულებაში ბატონმა იგორ ტყებუჩავამ დიდი წვლილი დაიდო.

მე როგორც კი, ეკლესია აშენდა და ხალხის სამსახურში ჩადგა, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ჯგუფის ინვალიდი ვარ, ეკლესიის ეზოს ვუვლი. მაგრამ სამწუხაროა, რომ არ მაქვს საჭირო იარაღები (თოხი, ბარი, და სხვა), რაც გამიადვილებს იქ მუშაობას და იმ ყვავილების მოვლას, რასაც ვრგავ, ვთესავ და ვამრავლებ, ეს ყვავილები და თესლები ჩემთან მრევლს მოაქვს. მინდა ეკლესიის ეზო ყოველთვის სუფთად და ლამაზად გამოიყურებოდეს. ახლახან ხობში მოიტანეს ტორფი ქალაქის ცენტრში არსებული სკვერების გასანოყიერებლად. მე ვითხოვე ეკლესიის ეზოსთვის, მაგრამ ყურადღება არავინ მომაქცია.

ეკლესიას მრავალი პრობლემა აქვს, არა აქვს საპირფარეშო, სატრაპეზო, ეზოს განათება. ამ საკითხების მოგვარებას ეკლესია დამოუკიდებლად ვერ შეძლებს და ამიტომაც სჭირდება მას ხობის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებისგან ყურადღება, მასზე ქალაქის ხელმძღვანელობამაც უნდა იზრუნოს. ასევე მასზე ზრუნვა თითოეული ხობელის ვალია.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთის ფურცლებიდან მადლობას ვუხდი იმ ადამიანებს, ვინც ზრუნავს ეკლესიის ეზოს კეთილმოწყობისთვის, ასევე კვლავაც გამოვხატავ წუხილს და მინდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მეტი ყურადღება მიაქციონ ამ საჭირო საქმეს.

ეკლესია ღვთის სახლია და ის, რასაც მე ვითხოვ, ეკლესიის მრევლს სჭირდება და არა უფალს. ღმერთმა უნდა დაინახოს ის, რასაც ჩვენ მისთვის ვაკეთებთ–უნდა ვილოცოთ და კეთილი საქმეები ვაკეთოთ!

დიდი მადლობა. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

ვალენტინა ტამაკულოვა.

6 მაისი მიცვალებულთა ხსოვნის დღეა

სულთათანა

„თქვენ ჩვენგან ადრე წასულნო, მონატრებულნო გულითა...“

მოვიდა გაზაფხული...
ყვავილებით მოიფინა საფლავები...
ისინი უფლის განგებით სხვადასხვა წელს, მაგრამ 19 აპრილს დაიბადნენ.

გოგა ბერაია

მიჭირს წერა...
რა დავარქვა შენს სიკვდილს?
გმირობა...
ბედისწერა...
ვაუკაცობა...
ერთგულება...

ისევ შეიკრიბა მეზობლები, მეგობრები, ახლობლები და სასუფეველში გილოცავენ დაბადების დღეს. როგორ ძნელია უშენობა, მაგრამ შენი იმქვეყნიური ცხოვრებაც საამაყოა, რადგან შენ სამშობლოს შესწირე თავი ჩვენო საფიცარო, შენს საფლავზე აგიყვავდა „ბაღი“, ყვავილები შენი თვალებივით იმზირებიან, ფოთლებიც შენით შრიალებენ–ისევ ჩვენთან ხარ დედაბუნებაში სამარადისოდ გადასული.

ვარსკვლავი ჩამქრალიც ვარსკვლავია, მისი კვალი–ნათელი და თბილი, ციმციმებს და გვეფერება შორიდან, ტკივილია უშენობა...

უფალს ვთხოვთ, შენი ლამაზი სული ნათელში ამყოფოს...

ვალტერ ბერაია

შესანიშნავი თავისი ზნეობით, დახვეწილი ინტელიგენტურობით, სულიერებით, ავტორიტეტით, საქმისადმი, მოყვასისადმი უზომო სიყვარულით, გულისხმიერი, ფაქიზი დამოკიდებულებით, პრინციპულობით, ჯანსაღი ცხოვრების წესით, სიკეთის ქმნადობით.

ნათქვამია, ცხოვრება პოეზიაა, მხოლოდ მისი დაწერა, შექმნა უნდა შეგეძლოსო. ბატონი ვალტერ ბერაია მთელი ცხოვრების მანძილზე ქმნიდა ჭეშმარიტი ქართველობის სიყვარულისა და სილამაზის, ერთგულების, უღალატო დამმობისა და წეს-ჩვეულებების, ტრადიციების, მშვენიერების ჭეშმარიტ პოეზიას, რომლის იდეებზე თაობები აღიზარდნენ. მას უსაზღვროდ უყვარდა სამშობლო და საფიცარი ხორგა. ადგილი, სადაც დაიბადა და გაიზარდა. მთელი თავისი ცხოვრება, მიუხედავად შესაძლებლობისა, ხორგაში გაატარა. იგი იყო ჩვენი ჯიშისა და ჯილაგის „მოძღვარი“. კიდევ ერთხელ თავს ვხრი მისი სულის წინაშე და ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ცხოვრების დიდი პერიოდი ბუმბერაზი და ასეთი საოცარი ადამიანის გვერდით გავატარე. ის ყოველთვის დიდი ოჯახის არაჩვეულებრივი მასპინძელი იყო. მისი სახლი დღემდე „საყდარია“ ჩვენთვის და ეს მარადიულად ასე იქნება.

მერაბ კორტავა

ალალი, პატიოსანი, მეზობლების, ახლობლების ჭირისა და ლხინის თავკაცი, ყველას „ჭირსუფალი. ჩვენგან ნაადრევად წასული კაცი, შრომისმოყვარე და ერთგული. ძნელია უყურო, როცა თავის ნაშრომ-ნაჯაფ ეზო-გარემოში ვერ გაივლის, ვერ შემოაღებს სახლის კარებს, ჩვეული „ქეიფით“ არ შემოძახებს მეზობლებს, მეგობრებს, მაგრამ ცხოვრება გრძელდება. შვილები აგრძელებენ მამის ტრადიციას და არასდროს დაივიწყებენ „ვისი გორისანი არიან“.

სიცოცხლესა და სიკვდილსაც თავისი წესი აქვს, ამ წესს ვერავინ და ვერაფერი ცვლის.

ნათელში იყავი ჩვენო ახლობელო ადამიანო, ღმერთმა არ მოაკლოს მადლი შენს სულს და ადგილსამყოფელს.

„თქვენ ჩვენგან ადრე წასულნო, მონატრებულნო გულითა“.

ნაირა ბერაია.

თათუშა მორგოშია-გაგაცოვი

საოცარი სისწრაფით გადის დრო. თითოეულ ჩვენთაგანს კი გვიხარია ახლობლების წელთა სიმრავლე... მაგრამ მთავარია, ვინ, როგორ გალია ცხოვრების გზა, როგორი პატიოსნებით ზიდა თავისი კუთვნილი ტვირთი და სასიამოვნო მოგონებები დაგვიტოვა...

ამ პატარა წერილით მინდა გულთბილად, სათუთად და დიდი სიყვარულით მოვიგონო უსპეტაკესი ქალბატონი, ჩემი „მეორე დედა“ ქალბატონი თათუშა მორგოშია–გაგაცოვი, რომელიც სულ ახლახან გავაცილეთ უკანასკნელ გზაზე.

მისი ბიოგრაფია ჩატეულია 1933–2013 წლებში. ამ ციფრების მავთულხლართებში მოქცეულია მთელი მისი პრობლემებით სავსე ცხოვრება. 42 წელი მუშაობდა ქვემო ქვალონის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომში ჯერ ბუღალტრად, შემდეგ კი მოლარედ. ჰყავდა ოჯახი–სულნათელი ნოე, ერთადერთი შვილი დავით გაგაცოვი, რომელიც მიზეზთა გამო საქართველოში 18 წელია არ ჩამოსულა...

ქვემო ქვალონის საკრებულოში ერთად მუშაობისას მან თავი შემაყვარა (და არა მარტო მე) თავისი გულწრფელობით, პირდაპირობით, მოჭარბებული წესიერებით, სხვაზე ზრუნვის უნარით, თავისი ჩუმი ტკივილითა და საწუხარით.

როგორც დამწყები თანამშრომელი მთლიანად მივენდე მას, რომელმაც პირველ რიგში კანონმორჩილი გამხადა, მასწავლა ადამიანებთან ურთიერთობა, უფროსებისადმი დამოკიდებულება...

–ვიდრე პირში სული გვიდგას, მოვესიყვარულოთ ერთმანეთს, ადამიანი სიკეთისთვისაა გაჩენილი, ყველაზე უსაყვარლესი ადამიანი, სიცოცხლის წყარო, რომელსაც დედა ჰქვია, არასოდეს დარჩენილიყოს მეზობლების იმედად–იტყოდა ხშირად, თუმც საკუთარ შვილს საყვედურისთვისაც არასდროს იმეტებდა.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა ვუთხრა იმ მეზობლებს, რომელთაც თავიანთი დამოკიდებულებით, თანადგომით, ხელშეწყობით, მეთვალყურეობით აქამდე აცოცხლეს და სიკვდილის შემდეგაც არაფერი დააკლეს. უპატრონეს და პატივით გააცილეს უკანასკნელ გზაზე შვილის მოლოდინით დატანჯული დედა. ხვავი და ბარაქა, სიხარული და ჯანის სიმრთელე არ მოკლებოდეს მათ მონაგარს.

... სულ რამდენიმე დღეა გარინდულია მისი სახლ-კარი, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩენია სილამაზე და მოუთმენლად ელოდება მის ანდერძისმიერ პატრონს–დედის აუსრულებელ და უკანასკნელ ოცნებას–დავით გაგაცოვს.

ნათელი დაადგეს თათუშა მორგოშიას ნათელ სულს.

მაია ხარბედია,
წამყვანი სპეციალისტი ქვემო ქვალონის თემში.

ქუჩუნა ჯუღელი-კვირკველია

* * *

დრო სიყვარულს ვერ ახუნებს
თუმცა წლები გადიან,
და აკლიხარ შენ ჩვენს
გულებს, ერთი წელიწადია,
დღეებს ნატვრით დანაღმულებს,
სდევს სევდა და დარდია,
კვლავ შევხვდებით გაზაფხულებს
თუმც უშენოდ, ცხადია...
ჩვენს ხსოვნაში ცხოვრობ ახლა,
რაც ყველაზე ნაღდია,
იქ ხარ ახლა, სადაც არის
ღვთის დიადი მადლია,
აქ სხივოსნობს და უკვდავობს
შენი ნაამაგარი,
წახვედი და დღეთა ქაოსს,
შერჩი, როგორც ზღაპარი.

სიძე ვახტანგ აბულაძე.

* * *

ქალბატონო ჟუჟუნა, ერთი წელი გავიდა იმის შემდეგ რაც ჩვენთან არა ხართ.

რამდენიმე წლის ჩვენი ერთად მუშაობის პერიოდში გამოიკვეთა თქვენი ნამდვილი სახე, როგორც ეს თითოეულ ადამიანში ხდება. თქვენ იყავით დადებითი და მისაბაძი ქალბატონი (მასწავლებელი), არაფერი გეშლებოდათ ადამიანებთან ურთიერთობაში, როგორც უმაღლესი ზნეობის ადამიანს საკმარისი იუმორიც გაგაჩნდათ, რომელიც ალამაზებდა თქვენს ცხოვრებასა და სიყვარულს თესავდა ჩვენს კოლექტივში.

პირადად მე, როგორც თქვენი მეუღლის და მამამთილის მეგობარს, განსაკუთრებული სიყვარული მქონდა თქვენი და თქვენი ოჯახის მიმართ. მენდეთ, ეს სიყვარული ჩვენს შვილებშიც მარადიული იქნება.

ქალბატონო ჟუჟუნა, მინდა ბრძენი კაცის ნათქვამით გითხრათ: „ადამიანი კვდება სომატიური სიკვდილით და ის არ კვდება საზოგადოებრივად. მისი სიცოცხლე გადადის ერთი გარემოდან მეორეში–საზოგადოებაში და აგრძელებს სიცოცხლეს იმასთან, ვინც ცოცხალი რჩება თუკი ის იყო ცოცხალი თავის სიცოცხლეში და არ იყო მკვდარი.“ ამდენად, თქვენ მარადიულად იცოცხლებთ თქვენს შვილებსა და მეგობრებში, უფალი იყოს თქვენი სულის და სიმშვიდის მცველი, მანვე არ მოაკლოს მადლი შენ სულს და ადგილსამყოფელს.

შენი კოლეგა
კირილე ლაგვილავა.

იანი ქვარცხავა



უშენოდ მოვიდა კიდევ ერთი გაზაფხული და შენი დაბადების დღე ივა, მე ასე მოგმართავდი... ექვსი წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან, შენ არ მომკვდარხარ ივა, უბრალოდ სხვა სამყაროში გარდაისახე, სიცოცხლით სავსევ, ჩვენთვის ძალიან საყვარელო ადამიანო, საუკეთესო მეგობარო. ხობში ჩასვლა ძალიან მიხარია, მიხარია და თან სინანული მიპყრობს, ჩემთვის საყვარელი ადამიანების მთელი არმია, რომ არ მხვდებით... ჩვენი თავშეყრა შენზე მოგონებებით იწყება, გვენატრები, უზომოდ გვენატრები, გვიჭირს შენზე წარსულში საუბარი... შენ ჩვენს გულებში მუდამ ცოცხლად დარჩები. უშენობა ყველაზე ძალიან შენს დედას უჭირს, მის თვალებზე ყოველთვის დიდი ტკივილი და სევდა იკითხება, ძნელია, მაგრამ ვცდილობთ, შევუმსუბუქოთ უშენობა.

უფალმა დაგიმკვიდროს სამარადისო სასუფეველი.

ნუგული გერგაია.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა თანაუგრძნობს თეა კილასონიას მამის

ზაურ კილასონიას

გარდაცვალების გამო.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა თანაუგრძნობს ქალბატონ ირმა გაბუნიას მამის

ვაჟა გაბუნიას

გარდაცვალების გამო.

ა (ა) იპ ხობის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ სათნოების სახლის დირექტორს ირმა გაბუნიას მამის

ვაჟა გაბუნიას

გარდაცვალების გამო.

ხობის ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა ომის მონაწილეებთან გათანაბრებული

ხუხუ ქარდავა

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე მზია გვალია. შვილები: ხვიჩა, ირმა, გოჩა. დები: ვერიკო, ლამარა, ინეზა, გულნაზი. რძლები: ნატო ახალაია, ოლია ლემიშევა. სიძეები: ავთანდილ ესართია, ანზორ კიტეიშვილი, ბონდო შუბითიძე. შვილიშვილები: გიორგი, ნინო გაბუნიები. ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვაჟა ვარლამის ძე გაბუნია.

ეს ფერები ძალიან კარგად გამოხატავენ ჩემს სტილს და ხასიათს. შთაგონებისთვის ბევრი არაფერი მჭირდება. მთავარია, განწყობა მქონდეს და გადაწყვეტილი თუ რა თემაზე ვიმუშავებ. უფრო ხშირად, როდესაც არ მაქვს არჩეული თემა, უბრალოდ ვიღებ ფანქარს და იდეები თავისით მოდის.

შენი საყვარელი თემა და ამჟამად რაზე მუშაობ?

–ძალიან მიყვარს ინდიელების თემა. ბუმბულები და მათი კულტურა მხიბლავს. ზოგადად გაკეთებული მაქვს ესკიზები, მაგრამ ახლა უფრო უნდა დავხვეწო. ამჟამად ვმუშაობ ჩინეთის კულტურაზე. ვაკეთებ კოლექციის ესკიზებს აფრიკისა და ინდოეთის თემებზე.

რომელია შენი ყველაზე სუსტი და ძლიერი მხარეები, როგორც ხელოვანის და როგორ ებრძვი მას?

–ჩემი სუსტი მხარე წარუმატებლობის გადალახვაა. ძალიან განვიცდი ხოლმე თუ რამე არ გამომდის, მაგრამ არ ვნებდები და ვცდილობ, გამოვასწორო. ხოლო ჩემი ძლიერი მხარე არის კონკურენცია. თუ რამე ძალიან მოვინდომე, ის აუცილებლად გამომივა.

განსაკუთრებულად რომელი დიზაინერი მოგწონს?

–ძალიან ბევრი, მაგრამ განსაკუთრებით **coco chanel**, რადგან ეს ქალბატონი ყველაფერს წინ აღუდგა და იმ პერიოდში რადიკალურად განსხვავებული ტანსაცმელი შემოიტანა. ასევე მიყვარს **karl lagerfeld**. ის ჩემი კუმირია. ეს ადამიანი არასოდეს განმეორდება.

რომელმა მხატვარმა მოახდინა შენს მხატვრობაზე ყველაზე დიდი გავლენა?

–ძალიან მიყვარს **da vinci** და **klimti**. ვტკბები მათი ნამუშევრებით. გავლენა **karl lagerfeld**-მა მოახდინა. ამ პერიოდის მხატვრებიდან ძალიან მიყვარს ილუსტრატორები **benjamin lacombe** და **gebeca aitremeri** მომწონს მათი სტილი და ფერები.

რას ფიქრობ ციფრულ მხატვრობაზე, აქვს რამე ღირებული? თუ უპირატესობას ტრადიციულ საღებავებს ანიჭებ?

–ვფიქრობ, რომ ციფრულ მხატვრობას გააჩნია თავისი ღირებულებები. ის ძალიან გვიადვილებს საქმეს და ადვილად გვანხორციელებინებს ჩვენს იდეებს, მაგრამ საღებავებითა და ფანქრებით ხატვა პირადად ჩემთვის უფრო მისაღები და ათასჯერ მეტად ღირებულია. როდესაც შენ შენი ხელით ხატავ და შენით ურევ ფერებს, უფრო ვითარდები, კომპიუტერით კი ბევრი რაღაცის გაკეთება ძნელია. ვინც სისტემატურად იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს, ხატვა ავიწყდება.

ოპტიმისტი ხარ?

–რა თქმა უნდა. ყოველთვის ვცდილობ, სამყაროს ადვილად შევხედო, ვიყო ბედნიერი და კარგ ხასიათზე. ვიცი, ჩემი დროც დადგება და ისე იქნება ყველაფერი, როგორც მსურს. ჩემი იდეების განხორციელებას დიდი თანხა სჭირდება, ამიტომ ვიცი, თუ ცოტას მოვითმენ, ფორტუნა მეც გამიღიმებს.

რა არის შენი ყველაზე დიდი სურვილი?

–საერთოდ მეოცნებე არა ვარ, მაგრამ ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა, მსურს მოდის სფეროში დავამკვიდრო ჩემი სახელი cocoro და წარმატებული დიზაინერი გავხდე. აკადემიის დამთავრების შემდეგ მინდა მაგისტრატურა ლონდონში დავამთავრო.

წარმატებებს გისურვებ ნინო!

–ძალიან დიდი მადლობა, თქვენც ასევე!

ესაუბრა
ნანა კემულარია.

ინჟელექტის საერთაშორისო დღე ხობში

2013 წლის 13 აპრილს, ინტელექტის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში და მათ შორის ხობში, ინტელექტუალური თამაშების ჩემპიონატი „რა? სად? როდის?“ ჩატარდა. პროექტის ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს „რა? სად? როდის?“ კლუბის წარმომადგენლები.

ჩემპიონატი 2 ეტაპად ჩატარდა. პირველი ეტაპი მუნიციპალური სინქრონული ტურნირები 13 აპრილს 14 საათზე დაიწყო, ხოლო მეორე ეტაპი–ფინალური ტურნირი 11 მაისს ქ. თბილისში გაიმართება და მასში მონაწილეობას მუნიციპალურ ტურნირებში გამარჯვებული გუნდები მიიღებს. პროექტის მიზანია, საქართველოსა და მათ შორის ხობის მოსწავლე-ახალგაზრდობის ინტელექტუალური დონის ამაღლება. სწორედ, ამ თვალსაზრისით ჩემპიონატის პირველ ეტაპში ხობის მუნიციპალიტეტიდან მონაწილეობა 24 საჯარო სკოლის ინტელექტგუნდმა მიიღო, რომელსაც ხობის კულტურის სახლის დიდი სცენა 144 ახალგაზრდა ინტელექტუალს მასპინძლობდა და თითოეული მათგანი საკუთარი ნიჭიერებითა და ცოდნით, თავისი გუნდის გამარჯვებისთვის იბრძოდა. ეს იყო ჯანსაღი ჭიდილი განათლებული ახალგაზრდებისა და შეუპოვარი ბრძოლები თვითრეალიზაციისათვის.

ამ ტურმა გამოკვეთა, რომ ინტელექტუალურ ჩემპიონატში მონაწილეობა ყველა საჯარო სკოლისთვის საინტერესოა, მაგრამ როგორც ყველა თამაშში, აქაც გამოიკვეთა იმ საჯარო სკოლათა ჯგუფი, რომელიც მეტი აქტიურობითა და მონდომებით ჩაება. ესენი იყვნენ: ხობის №1, ხობის №2, „არეასა“ და ქარიატას საჯარო სკოლების ინტელექტუალთა გუნდები.

მეორე ეტაპისთვის საუკეთესო მაჩვენებლებით 11-11 ქულით დაწინაურდნენ ხობის №2 და ქარიატის საჯარო სკოლის ინტელექტგუნდები. პროექტის დებულების თანახმად, საუკეთესოს გამოსავლენად გაიმართა სუპერფინალი და დაისვა დამატებითი კითხვები. კითხვებს აჟღერებდა ტურნირის წამყვანი **დათო ნაცვლიშვილი,** ხოლო მსაჯობას უწევდნენ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი **ფერიდე გოგია,** ახალგაზრდულ საქმეთა საკითხების წამყვანი სპეციალისტი **ლევან ღვინჯილია** და ა(ა)იპ ხობის კულტურის ცენტრის დირექტორი **ბეჟან ნადარაია.**

სუპერფინალმა დაძაბული ინტელექტუალური ორთაბრძოლის შემდეგ გამოავლინა გამარჯვებული–ხობის №2 საჯარო სკოლის ინტელექტუალთა გუნდი, რომელიც 11 მაისს ბრძოლას საბოლოო გამარჯვებისთვის უკვე თბილისში გააგრძელებს.

ჩემპიონატს ესწრებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი **კახაბერ ბენიძე**, გამგებლის მოადგილეები **მახარე ჩოკორაია** და **როსტომ კილასონია**.

ვულოცავთ №2 საჯარო სკოლის ახალგაზრდებსა და პედაგოგებს, გულშემატკივრებს წინ გადადგმულ ნაბიჯებს და გამარჯვებებს ვუსურვებთ!

ნანა კემულარია

თქვენთვის მიასახლისებთ!

აღდგომა და წითელი კვერცხები

არსებობს გადმოცემა, რომ ამაღლებამდე იესო ქრისტემ თავისი მოწაფეები სხვადასხვა ადგილებში დაგზავნა, რათა ადამიანებისთვის მისი აღდგომის შესახებ ეხარებინათ. საქადაგებლად გაეშურა მარიამ მაგდალინელიც, რომლისგანაც მაცხოვარმა შვიდი ეშმაკი განდევნა და რომელმაც ღვთისმშობლის შემდეგ პირველმა იხილა მკვდრეთით აღმდგარი უფალი.

წმიდა მარიამი რომში ჩავიდა და პირდაპირ იმპერატორის სასახლეს მიაშურა. იგი ცნობილი პიროვნება იყო და ამიტომ დაუბრკოლებლად გაატარეს სასახლეში. მან იმპერატორ ტიბერიუსს საჩუქრად კვერცხი გაუწოდა და ასარა: „ქრისტე აღსდგა“. იმპერატორმა ქალს ეჭვით შეხედა და წამოიძახა: „როგორ შეეძლო მკვდარს აღმდგარიყო?! ეს ისევე დაუჯერებელია, როგორც ის, რომ ახლა ეს კვერცხი გაწითლდესო“. სიტყვები ჯერ არ ჰქონდა დამთავრებული, რომ კვერცხი მართლაც გაწითლდა. ამ დღიდან მოყოლებული ქრისტიანები აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს წითელი კვერცხებით ეგებებიან.

გარდა ამისა, კვერცხი მარადიული სიცოცხლის სიმბოლოა, რადგან მისგან ცოცხალი არსება იბადება, იესო ქრისტემ კი ადამიანებს სიცოცხლე მიანიჭა. წითელ ფერში სისხლი მოიაზრება, რადგან იესო ქრისტემ თავისი სისხლით სიცოცხლე განწმიდა და აკურთხა.

როგორ შევლებოთ კვერცხები?

ეს თითქოს მარტივი, მაგრამ საკმაოდ რთული სამუშაოა.

კვერცხის შეღებვის საუკეთესო საშუალებაა ენდრო. ერთი შეკვრა ენდრო კარგად გავრეცხოთ და დავჭრათ (ან დავჩეჩქვოთ), დავასხათ 1-1,5 ლიტრი წყალი, ჩავყაროთ 2-3 ხახვის გარეთა ფურცელი, 1 ჩაის კოვზი მარილი, დავდგათ ცეცხლზე და 15-20 წუთი ვადუღოთ. წყლის ადუღების შემდგომ გადმოვდგათ ცეცხლიდან და კარგად რომ გაცივდება ჩავაწყოთ 20 კვერცხი (თუ ბევრს ერთად მოვხარშავთ, კარგად არ შეიღებება და შეიძლება დასკდეს კიდევაც). თუ წყალმა კვერცხი ვერ დაფარა, ჩავამატოთ, რამდენიც საჭიროა და 20-25 წუთი ვხარშოთ ნელ ცეცხლზე, შემდეგ ფრთხილად ამოვიღოთ და შეგვიძლია ცივ წყალში გადავაწყოთ ათიოდე წუთით (ასე გაციებული კვერცხი ადვილად გაიფცქვნება). შემდგომ თუ გვსურს რომ კვერცხმა ბრწყინვალება მიიღოს, შეგვიძლია ზეთი გადავუსვათ ზემოდან.

მოლოცვა

მელა ლაგვილავას!

ჩვენო პირველო მასწავლებელო! გილოცავთ დაბადების დღეს. გვიყვარხართ და გეფერებით!

ვიცით, რაოდენ რთულია თქვენი ყოველდღიური ცხოვრება. ძნელია თვალებში უყურო ათობით პატარას, გაიგო მათი სატკივარი თუ სიხარული, თითოეულის გონებამდე დაიყვანოთ ანა-ბანა, ციფრები და პლუს-მინუსები, მაგრამ ჩვენ ვეცდებით გაგიმართლოთ და ძალიან კარგები ვიყოთ. ეს თქვენი დამსახურება იქნება. ჩვენ ვეცდებით! ვნახოთ!..

ბელა მასწავლებელო! თქვენ, ჩვენთვის დედასავით თბილი და მფარველი ხართ, ამიტომაც გვეიმედებით!

კიდევ ერთხელ გილოცავთ. ძალიან დიდხანს ბრძანდებოდეთ ჯანმრთელად და ბედნიერად.

საუკეთესო სურვილებით თქვენი პირველკლასელები.

წინა ნომერში მამოქვეულებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 2.ბაზიერი; 4.ლონდონი; 5.პანამა; 8.კუმისი; 9.ლაფერა; 10.ლილი; 11.სატანა; 12.ნიამორი. 15.მირანდა; 18.ლობიო; 20.ირა; 21.არარა; 23. ფარგალი; 24.კენტავრი; 28.იუანი; 29.ჯექსონი; 30.კატრინა; 32 რეალი.

შვეულად: 1.მერლინი; 2.ბანდურა; 3.ზლოტი; 5.პოლისი; 6.ნაფოტი; 7.მარანი; 10.ლამარია; 11.სი; 13.იამაიკა; 14.რენტა; 16.აია; 17.აბერდინი; 18. ლაფი; 19.ოთავა; 22.მისის; 25.ელეგია; 20.ტოსკა; 27.ვენტურა; 31.ნილოსი.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ძალზე არასასიამოვნო კორექტურული შეცდომა გაიპარა, შეიცვალა ტექსტის შინაარსი, რის გამოც შ.პ.ს. „ხობის მოამბე“ დიდ ბოდიშს უხდის ინტერვიუს რესპოდენტსა და საზოგადოებას.

გაზეთის მეშვიდე ნომერში გამოქვეყნებული წერილი „მზად ვართ, ვითანამშრომლოთ ყველა ადამიანთან“ მეხუთე სვეტში მოთავსებული კითხვის–„რას ეტყოდით მოსახლეობას, რომელთაც ჯერ კიდევ უჭირთ?“ ბოლო ხაზგასმული აბზაცი ასე უნდა იკითხებოდეს: „სახელმწიფო ყველანაირად ცდილობს შეუმსუბუქოს მოსახლეობას მდგომარეობა და ქვეყანა დააყენოს განვითარების სწორ გზაზე. ამის საწყისი სასოფლო–სამეურნეო ბარათების დარიგება, პენსიების გაზრდა...“ და შემდეგ, როგორც ტექსტშია.

კიდევ ერთხელ ვებოდიშებით რესპოდენტსა და გაზეთის მკითხველებს.

შ.პ.ს. „ხობის მოამბე“

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

სარედაქციო კოლეგია: თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა.
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტები–ნანა კემულარია, ნინო გერგაია, რეკლამისა და მარკეტინგის მენეჯერი–ლაშა ცატავა.
კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“

მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru

დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გაზეთში დაბეჭდილი მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.